

სამეგრელო

№2 (49) 1.02.2016 - 1.03.2016

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

მელიქო ქანთოზიას



№ 10

**სმოვნაზისაული
ეპიფორეაზი**

№ 31



**ცანავაის
ოჯახის აგაპი**

ელენე ფორსუა



**მინდა ჩემ
შვილს ნიჭის
კითხვა
შევაყვარო**

№ 4

ნელი



**ჩხარტიშვილი
შეღები, რომლის
აუხილავლად მოვა...**

№ 15



**ლეო
გოქერია
გულის ჯადოქარი**

№ 7



**ნაცვადა
თუ ვინ
ღიანა
ღუჭუბია
მუტულებზე?**

№ 16



**როსტომ
ზარანდია:
ჩემი
ღიაგნოზა
სმოვრება მასწავლა**

**ალექსანდრა
ბასილია**



№ 21

**გაკალიულობა
გადასული, გავსკო!**


მეგობრის ხმა

ISSN 1987-8524

სრულიად საქართველოს სწავლა

771987852005





აკაკი ჭანტურია

ქართული მეცნიერი,
არქეოლოგი, ეთნოგრაფი,
ზეგდიდის მუზეუმის
დამაარსებელი

აკაკი ჭანტურია დაიწყო განათლება ახალსენაკის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში მიიღო. შეეძლო, თბილისის სასულიერო სემინარიაში უგამოცდოდ ჩარიცხულიყო, მაგრამ მას სხვა მიზნები ჰქონდა - უცხოეთში წასვლაზე ოცნებობდა. მალევე ბათუმში გადავიდა და როტშილდის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. იქვე შეუდგა ინგლისური ენის სწავლას. იმისათვის, რომ დიდ ბრიტანეთში წასასვლელი ფული მოეგროვებინა, ფიზიკურ შრომასაც არ ერიდებოდა.

აკაკი ჭანტურია ინგლისში 1904 წელს გაემგზავრა და ერთ ოჯახში რუსული ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა და უნივერსიტეტში გეოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სადაც შეისწავლა არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორია, კარტოგრაფია, სამუზეუმო საქმე, ფილოლოგია, ფოლკლორი და ხელოვნება, მონაწილეობდა ბრიტანეთის მუზეუმის სამეცნიერო-საძიებო ექსპედიციებსა და ტრადიციულ შემოქმედებითდათვალისწინებულ საქმეებში.

1912 წელს აკაკი საქართველოში დაბრუნდა. მან სამეგრელოში დიდძალი გეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალა შეაგროვა, დაახარისხა და მამაბაბეული ოდის დიდ დარბაზში სანიმუშო გამოფენა მოაწყო. ამავე თემას უძღვნა საკვლითი ნაშრომი „საქართველოს გეოლოგია“, რომელიც 1919 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოიცა.

1913 წლის ბოლოს აკაკი ჭანტურია კვლავ საზღვარგარეთ წავიდა. სწავლობდა ლონდონის ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში, ლონდონის უნივერსიტეტის სამეფო კოლეჯსა და სამხატვრო კოლეჯში, იქვე მიიღო ბაკალავრის სამეცნიერო წოდებაც.

1919 წელს აკაკი ჭანტურია ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, სადაც ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში, ბარეტის კოლეჯში სწავლობდა. ამერიკაში დარჩა 4 წელი. ინგლისში დაბრუნებულმა ცოლად შეირთო ლონდონელი ქალი ქვით უოლტერ ბოლი.

1920 წელს აკაკი მეუღლესთან და უფროს ვაჟიშვილთან ერთად საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და მშობლიურ სოფელში დასახლდა. მეუღლეს შეასწავლა ქართული და მეგრული. იგი ხშირად დადიოდა თბილისში, ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, მუშაობდა მუზეუმებში, არქივებსა და წიგნთსაცავებში. ჯერ თბილისის უნივერსიტეტში სამსახური, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრობა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა, რადგან სხვა მიზანი - მუზეუმის დაარსება - ჰქონდა.

ამ მიზნის მისაღწევად აკაკის ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა.

მუზეუმი, რომელსაც „სამეგრელოს მუზეუმი“ ეწოდა, 1921 წლის 1 მაისს გაიხსნა. დადიანების ქონება ზუგდიდის გარდა სალხინოსა და ჰკადუაში - ბრინჯ აშილ მიურატის სასახლეში ინახებოდა. სალხინოდან ნივთების მიღება აკაკის მთელ ეპოპეად ექცა - მცველების თანხლებით მიდიოდა და აურაცხელ საგანძურს ურმებით ეზიდებოდა.

1937 წლიდან დაიწყო აკაკი ჭანტურიას აშკარა დევნა. 1940 წლის 23 ივლისს დადიანების სასახლეში აკაკი ჭანტურიას ეპოქა დასრულდა. მეცნიერმა სიძველეთსაცავი სამუდამოდ დატოვა, რის გამოც საგანძური გაიძარცვა.

ს ა რ ჩ ე ვ ი



ერთხელ „დათესავ“, ოთხჯერ „მოიმკი“- გელოვანების ჩაი
ნალენჯიხიდან..... 2



ელენე ფოჩხუა. „მიყვარს
ნანარმოებები, რომლებსაც
დიდი ემოციები მოაქვს“ 4



თეა ღვანია —
ნანყენია თუ არა დიანა
ლურნკაია მშობლებზე?!..... 7



იასამნისგან განსხვავებით
მანანა კარტოზიას ცხოვრებას
ბრწყინვალეობა არასდროს
დაუკარგავს..... 10



არქანჯელო ლამბერტი —
ხალხური ჩვეულებანი..... 13



იზო რიკაძე —
„ხელს გვიშლიან... უნინაც ასე იყო
და მომავალშიც შეგვიშლიან“ 15



გივი სიხარულიძე
გივი 72 18



ვილემ მარდალეიშვილი —
წუთისოფლიდან მარადიულობაში
გადასული, მაესტრო!..... 21



ნინო მაზანიშვილი —
როსტომ ზარანდია. სამოქალაქო
კულტურის მაგალითი..... 24



ზუგდიდი სრულიად
საქართველოს ამცნობს..... 26




მანანა მეტრეველი - ტურავა —
ცხოვრებამ სირიმე მასწავლა 28



ლალი ჰაპასკირი —
ერთი მომთაბარე ოჯახის
საოცარი ამბავი..... 31



თამაზ გამყრელიძე—
არნოლდ ჩიქობავა. დიდი
ქართველი სწავლული და
საზოგადო მოღვაწე..... 34



მეგრული ფოლკლორის
სადარაჯოზე მდარი
ალანიების ოჯახი 36



ნინო ჯაფარიძე
ბედიის ბარძიმის
დაკარგული ნაწილი..... 37



არქანჯელო ლამბერტი —
ექიმები და ექიმობა..... 38

მთავარი რედაქტორი —
ნინო რახვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

გოჩა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარაშვილი


ტექსტი აანყო

თამარ გოზინაძე

მვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის
შემკვეთს ეკისრება.

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

**ჟინნაღვი მასალების
მართავსება ფასიანია!**



ერთხელ „დათესავ“, ოთხჯერ „მოიგვი“ – ბელოვანის ჩაი წაღუნჯიხიდან

„დღეს შიდა ბაზარზე უკვე ქართული ჩაის დეფიციტია“

2015 წელს შოთა გელოვანი სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წლის ყველაზე ხანდაზმულ წარმატებულ ფერმერად დაასახელა

შოთა ბელოვანი წაღუნჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ენრის უხუცესი მენარმეა. 82 წლის მოხუცი ოჯახის წევრებთან ერთად შრომობს. ოჯახს აქვს შპს და ჩაის მიღება-გადამუშავებაზე მუშაობს. ძირითადად, შავი ბაიხის ჩაის უშვებს - დაფასოებულსაც და ერთჯერად პაკეტებშიც. ყოველწლიურად 5 ტონა მზა პროდუქციას აწარმოებენ და ადგილობრივ ბაზარზე ყიდიან. საწარმოს აქვს კივის სადემონსტრაციო ნაკვეთიც და ყოველწლიურად 20-30 ტონა პროდუქციას იღებს. მასვე ეკუთვნის კივის ნაყოფის ღია ცის ქვეშ შენახვის ტექნოლოგიის იდეა.

შოთა ბელოვანი: - 1999 წელს მე და ჩემმა შვილებმა შპს ჩამოვყალიბეთ და დღემდე შეუფერხებლად ვმუშაობთ. თავიდან დავიწყეთ, როგორც მცირე მენარმეებმა, თანდათანობით საწარმო გავაფართოეთ...

- 1999 წელს არცთუ ადვილი იყო საქმის დაწყება, მით უფრო - მცირე საწარმოს შექმნა...

- ჩაის კულტურის მიმართ სახელმწიფო გულგრილი იყო, მაგრამ ჩვენს ოჯახს ჩაის წარმოებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი და - თამარ გელოვანი პირველი შრომის გმირი იყო. მას 1951 წელს მიანიჭეს ეს წოდება. ჩაი ადრიდანვე იყო ჩვენი ოჯახის შემოსავლის წყარო. მერე, როცა ეს კულტურა ქვეყანაში აღარავის აინტერესებდა,

გადავწყვიტეთ, ისევ ამ საქმისთვის მოგვეკიდა ხელი, მან კი წარმატება მოგვიტანა.

სამეგრელოს ეკონომიკას ფეხზე მხოლოდ ჩაი დააყენებს, ჩაის კულტურის აღორძინებით ამ მხარეს ეშველება.

- როგორ დაიწყეთ, ახალი ნერგები დარგეთ თუ ძველი პლანტაციები განაახლეთ?

- ჩაი მიტოვებული იყო და გადავწყვიტეთ, გაველურებისკენ წასული ბუჩქები გამოგვეცოცხლებინა. წლების განმავლობაში 15 ჰექტარი აღვადგინეთ და კიდევ 5 ჰექტარის მიმატებას ვაპირებთ. სურათი

შოთა გელოვანი: „1999 წელს მე და ჩემმა შვილებმა შპს ჩამოვყალიბეთ და დღემდე შეუფერხებლად ვმუშაობთ“

- ტერიტორია, ალბათ, საბჭოთა კავშირის დროს კოლმეურნეობას ეკუთვნოდა...

- დიახ, მაგრამ მანამდე ჩემმა წინაპრებმა აფაქიძეებისგან, ანუ სოფლის თავადებისგან შეიძინეს ეს მიწა და ახლა ჩაი, ფაქტობრივად, იმ ფართობზე მოგვეყავს.

- 5 ტონა ჩაის სად ყიდით?

- ჯერჯერობით ადგილობრივ ბაზარზე (სამეგრელო, გურია, აჭარა, ქუთაისი), თუმცა, ზოგჯერ უცხოეთშიც გადის.

- მუშაობაში ხელს რა გიშლით?

- კარგი იქნება, თუ სასუქით დაგვეხმარებიან, რომ ნიადაგი გავანოყიეროთ. განოყიერებულ ნიადაგზე მოყვანილი ჩაის დუყები უფრო ხარისხიანია. ამ საქმეში ვინმე თუ წაგვეშველება, უკეთეს შედეგს მივიღებთ.

- მთავრობა არ გეხმარებათ?

რობერტ გელოვანი (შოთა გელოვანის ვაჟი):
- ადრე პროგრამებსაც ვწერდით, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა. ახლა ჩაის აღორძინებით მთავრობაც დაინტერესდა და ვნახოთ...

- პლანტაციაში რამდენი ადამიანია დასაქმებული?

- კრეფისას 60-მდე ადამიანი მუშაობს, ყოველდღიურად კი დაფასობას, ანონასა და სხვა სამუშაოებს 10 ადამიანი სჭირდება. ჩაის ნედლეულის მოკრეფისთვის ჩვენსავით 1 კგ ნედლეულზე 50 თეთრს არავინ იძლევა.

- ანუ 50 თეთრს უხდით მკრეფავეებს?

- დიახ, რათა ხარისხიანი ნედლეული დაიკრიფოს. არ გვინდა რაოდენობის ხარჯზე ხარისხის გაფუჭება. ისე, 1 კილოგრამი ხარისხიანი პროდუქტის მისაღებად 4 კილოგრამი ნედლეულია საჭირო.

- როგორ ფიქრობთ, თავის დროზე რატომ შეწყდა ამ კულტურის წარმოება.

- წინათ ქართული ჩაი მთელ საბჭოთა კავშირში იყიდებოდა, სადაც ნებისმიერი

ხარისხის ჩაი გადიოდა. როგორც კი საბჭოთა კავშირი და ეკონომიკური ურთიერთობები მოიშალა, ამ პროდუქციის შემსყიდველი აღარავინ იყო, ვერ საღებოდა, ამიტომ აიცრუეს გული ჩაის წარმოებაზე. დღეს კი შიდა ბაზარზე უკვე ქართული ჩაის დეფიციტია.

საზღვარგარეთიდან რომ არ შემოდის ჩაი და ამხელა რეკლამა არ ახლდეს, უფრო დიდი წარმატება გვექნებოდა. ფაქტობრივად, საღებავი შემოაქვთ, ეს შეგვიძლია, ნებისმიერს დავემტკიცოთ. ნამდვილმა ჩაიმ ფერი რომ გამოსცეს, 4-5 წუთი უნდა, იმ უცხოურ ჩაის კი წყალს დაასხამთ არა, მაშინვე ფერს უშვებს. მოკლედ, რადგანაც უცხოურმა პროდუქციამ ქართული ჩაანაცვლა, აღარავინ ფიქრობდა, ქართული ჩაი ეწარმოებინა.

- იქ, სადაც ადრე ჩაის პლანტაციები იყო გაშენებული, ახლა ალბათ ტყეებია?

- პლანტაციების ნაწილში ხალხმა თხილი გააშენა და ძველი ბუჩქები ამოიჩრკვა. მაგრამ თხილი ვერასდროს ჩაანაცვლებს ჩაის, რადგან ის ერთხელ იძლევა ნაყოფს და ისიც - გაზაფხულზე, ადრეულ გაზაფხულზე ნაყინების შემთხვევაში კი, შესაძლოა, მთელი მოსავალი დაიკარგოს. ჩაი კი სეზონზე ოთხჯერ იკრიფება, პირველი მოსავლის დაკარგვის შემთხვევაში, მეორედ, მესა-



მედ და მეოთხედ მაინც მიიღებ მოსავალს. ასე რომ, ხალხის დასაქმებაც მეტია აქ და უკეთესი შემოსავალიც მოაქვს.

- რომელ თვეებში კრეფთ?

- მაისში იწყება პირველი კრეფა და ნოემბრამდე გრძელდება. მთელი ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ხარისხის მიხედვით დაიკრიფოს. მაის-ივნისსა და აგვისტოში უკეთესი ჩაი იკრიფება, შემოდგომით - ცოტა უხეში, მაგრამ იმასაც თავისი ბაზარი აქვს - შუა აზიაში სწორედ ასეთი ჩაი მოსწონთ.

- შუა აზიის ბაზრისთვისაც მუშაობთ?

- არა, მაგრამ არის შემთხვევები, როცა კერძო პირები ჩამოდიან და გააქვთ.

- სოფელში ჩაის მხოლოდ თქვენ აწარმოებთ?

- თავის დროზე სხვადასხვა ოჯახის თაოსნობით, აქ ოთხი მცირე ფაბრიკა გაიხსნა, მაგრამ მალევე შეწყვიტეს საქმიანობა. რაიონში კი არის ორი მოზრდილი ფაბრიკა, მაგრამ უმეტესად მწვანე ჩაის აწარმოებენ.

- თქვენს პროდუქტზე - შავი ბაიხის ჩაიზე - რას გვეტყვი?

- ჩინური და იაპონური ჩაის შეჯვარებით არის მიღებული. იაპონურის ყინვაგამძლეობა და ჩინურის ხარისხი შეერწყა ერთმანეთს და გაამართლა.

- რაც შეეხება კივის, თქვენს სადემონსტრაციო ნაკვეთში, როგორც შევიტყვე, ყოველწლიურად 20-30 ტონა პროდუქციას იღებთ. ცნობილია ბატონი შოთას იდეაც- კივის ნაყოფის ღია ცის ქვეშ შენახვის თაობაზე, არადა, დაკრეფის შემდეგ მას ტრადიციულად ბნელსა და გრილ სარდაფში ინახავენ.

- როცა კარგი ამინდებია, კივი ამართლებს, ნორმალური მოსავალი და შემოსავალიც გვაქვს. რაც შეეხება შენახვის მეთოდს, ადრე ჩვენც სარდაფში ვინახავდით, მაგრამ გაფუჭების მეტი შანსი იყო, ვიდრე თივისა და ღია ცის ქვეშ შენახვისას. ტექნოლოგია თანდათან დაიხვეწა. აქამდე რალაც შემთხვევის წყალობით მივედით და მერე აღმოჩნდა, რომ ასე შენახვა უკეთესია, თანაც უდანაკარგო. ჰოდა, უკვე მესამე წელია, ქვემოთ თივას ვუფენთ, მერე ზემოდანაც ვაყრით და ისე ვინახავთ. განსაზღვრული სინოტივე სჭირდება, თივა მთლად მშრალი არ უნდა იყოს. ასე ნაყოფის 98% ინახება.

- ახლა თქვენთან თოვლია, ამ პირობებსაც უძლებს?

- თოვლი მაცივრის როლს ასრულებს. ყინვას კიდევ თოვლი სჯობია.

- კივი უფრო ძნელად მოსავლელია თუ ჩაი?

- ჩაი ნაკლებად პრეტენზიულია. დაბალ ტემპერატურას უკეთესად უძლებს, ვიდრე კივი. კივის პრობლემა ის არის, რომ გვიან წაყინვის შემთხვევაში შეიძლება მთელი წლის მოსავალი დაიკარგოს. ჩაი კი უდანაკარგო კულტურაა.

- გვიან წაყინვას რას ეძახით?

- ეს არის აპრილის ბოლო, მაისის დასაწყისი. შარშან 5 მაისს მინუს 2 გრადუსი იყო და კივის მოსავალი მთლიანად დაეკარგეთ. როცა ვეგეტაციის პროცესი დაწყებულია, ყინვა ძალიან საშიშია.

- შარშან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მამათქვენი წლის ყველაზე ხანდაზმულ, წარმატებულ ფერმერად დაასახელა. რას ისურვებდით სამომავლოდ?

- გაფართოების სურვილი გვაქვს, მით უმეტეს, რომ ჩვენი დაპაკეტებული ჩაი ბაზარს იპყრობს და მოთხოვნაც გაიზარდა. კვირიდან კვირამდე სადაც მივიტანთ, მალევე იყიდება და კვლავ ითხოვენ. ხარისხიც მოსწონთ და გემოც.

ლალი ფაცია

კულტურა

„მიყვარს
ნაწარმოებები,
ჩემლებსაც
დიდი ემოციები
მოაქვს“



ელენე
ფოჩხუა

„ნიბნის სამყაროში ჩემი მებრუნები მშობლები იყვნენ, ახლა ვცდილობ, ჩემს პირველკლასელ შვილს ნიბნის კითხვა შევამყარო“

- ამბობს მომღერალი ელენე ფოჩხუა. უყვარს შექსპირი, გალაკტიონის, ანა კალანდაძის პოეზია. ის ლექსები, რომლებიც ბავშვობაში ისწავლა, დღემდე ზეპირად ახსოვს.

- ძალიან განვიცდი, რომ უამრავი საქმის გამო, ბევრს ვეღარ ვკითხულობ. მხატვრული ლიტერატურის კითხვისას, ყოველთვის დადებით პერსონაჟებს ვგულშემატკივრობ. ბუნებით რომანტიკოსი ვარ. მელოდრამებზე ვგიჟდები. არ მიყვარს არც ფილმი და არც წიგნი, სადაც ძალადობა ხდება. საშინელი ამბები და ფანტასტიკა ნაკლებად მიზიდავს, არც ზღაპრები მიყვარს. კარგ კომედიაზე ვერთობი.

დღევანდელი გადასახედიდან მიმაჩნია, რომ ბავშვობის პერიოდში გაცილებით მეტი შემეძლო წამეკითხა. უბრალოდ, მაშინ ვერც იმ ასაკის უპირატესობას აცნობიერებ და ცოტათი სიზარმაცე და სხვა გასართობისკენ მიდრეკილებაც გძლევის. სიმღერაზე ვიყავი გადართული, ვოკალში ბევრს ვმეცადინებოდი. თუ ადამიანი მოინდომებს, არ არსებობს, დრო ვერ გამონახო. სიკვდილამდე ყოველთვის სწავლობ. ჩემი და ჩემზე ბევრად ნაკითხია, ცოტა არ იყოს, მისი მშურს. სიტყვები - «ვერ ვახერხებ», ალბათ სიზარმაცისთვის გამართლების მოძებნაა. ახლა რომ ბავშვი ვიყო, წლებს მეტად



ნაყოფიერად გამოვიყენებდი.

მიყვარს ნაწარმოებები, რომლებსაც დიდი ემოციები მოაქვს. წიგნის კითხვისას, ფილმის ნახვისას არაერთხელ მიტირია, ძალიან მგრძნობიარე და ემოციური ვარ.

ინტელექტუალური თამაშები ძალიან მიყვარს, მეგობრების წრეში არაერთხელ მითამაშია, განსაკუთრებით - სტუდენტობის წლებში.

- ერთ ქართველ პოეტს სახლის შესასვლელ კარზე ასეთი წარწერა ჰქონდა:

«მეგობრებო! ჩემს ბინაში,
რომ მოდიხართ ასე ხშირად,
ბოდიშს ვიხდი, თქვენ წინაშე,
მაგრამ გეტყვით პირდაპირად:
თუ არ გსურთ, რომ ჩვენს შორის/
უმძრახობა ჩამოვარდეს,
სურნელება ჰქონდეს შმორის/
ჩვენს გულელებში დარგულ ვარდებს,
თუ არ გსურთ, რომ მძლედ და უხმოდ/
დამიჩაგროთ პოეტს გული,
წიგნებს ნუ მთხოვთ, წიგნებს ნუ მთხოვთ!/
შეისმინეთ ჩემი თქმული».

დაასახელე ეს პოეტი.

- *სამწუხაროდ, ვერ დავასახელებ.*

- იოსებ გრიშაშვილი. 1905 წელს პარიზში უჩვეულო შეჯიბრება მოეწყო: მასში 300 ადამიანი მონაწილეობდა, მათ 300-მეტრიანი დისტანცია უნდა დაეფარათ. გამარჯვებულმა დისტანცია 3 წუთსა და 12 წამში დაფარა. დაასახელე ადგილი, სადაც ეს შეჯიბრება მოეწყო.

- *სადმე მნიშვნელოვან ადგილზე იყო?*

- სავარაუდო პასუხებს გეტყვი: პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში, ვიფელის კოშკზე თუ ელისეს მინდვრებზე?

- *შესაძლოა, ვიფელის კოშკზე მოეწყო, შეჯიბრებაში მონაწილე პირებს კიბე უნდა აერბინათ.*

- დიახ. ვის მიმართა ლადო ასათიანმა შემდეგი სიტყვებით: «თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა»?

- *არაგველებს.*

- **რა ჰქვია ლომის შვილს?**

- *ბოკვერი.*

- **ლომების გუნდს?**

- *არ ვიცი.*

- პრაიდი. რა ნათესაური კავშირი არსებობდა ქართლის მეფე ლუარსაბ II-სა და გიორგი სააკაძეს შორის?

- *ლუარსაბ მეფეს სააკაძის და ჰყავდა ცოლად.*

- ის საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორჯონიკიძის რაიონის მილიციის უბნის რწმუნებული, გოგი თუშუ-რაშვილი გახლდათ. რა მეტსახელით ვიცნობთ მას?

- *კუკარაჩა.*

- რა ჰქვია საქმის ზერელედ მცოდნე ადამიანს?

- *ვერ ვიხსენებ.*

- *დილეტანტი.*

*«სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი/
სინმინდის მადლით დაჰშვენებოდა/
და მალალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდელი გადაჰფენოდა».*





ვის აღწერს ასე ილია ჭავჭავაძე?

- განდეგილს.

- რა ჰქვია ჩუქჩების საცხოვრებელ სახლს, რომელიც ირმის ტყავებით იყო დაფარული?

- არ ვიცი.

- იარანგი. ესკიმოსების საცხოვრებელ სახლს, რომელსაც ყინულის აგურებისგან აშენებენ?

- ვერ ვიხსენებ.

- იგლუ. არსებობს თუ არა საქართველოში დინოზავრის ნაკვალევი?

- რა თქმა უნდა, არსებობს, წყალტუბოშია.

- «ბენტლი», «იაგუარი», «როლს-როისი», «ლენდ-როვერი» - რომელი ქვეყანა აწარმოებს ამ ავტომობილებს?

- დიდი ბრიტანეთი.

- სად დაიბადა ვერიკო ანჯაფარიძე?

- ქუთაისში.

- ვინ შეასრულა ილიკოს როლი ფილმში - «მე, ბებია, ილიკო და ილარიონი»?

- სანდრო ჟორჟოლიანმა.

- რამდენი შვილი ჰყავდა ილია ჭავჭავაძეს?

- არც ერთი.

- «მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამქვეყნად, როგორც მეფეს, ისე როგორც კაცს. თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია. ვაჟკაციც ვიყავ და მშიშარაც, კეისარს ვებრძოდი, მაგრამ მეშინოდა ხვიარის ფესვებისა, გულზვიადიც ვიყავი და ლოთიც, მაგრამ ჩემი ხალხისთვის არასდროს მილაღატია»... კონსტანტინე გამსახურდიას რომელი გმირი ამბობს ამ სიტყვებს?

- მეფე გიორგი.

- 1895 წელი კინემატოგრაფიის დაბადების წელია. რომელ ქალაქში გაიმართა პირველი კინოსეანსი?

- პარიზში.

- რომელმა ქართველმა მწერალმა დალია სული დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, სადაც მაშინ წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთი იყო განთავსებული?

- ვაჟა-ფშაველამ.

- რა ჰქვია ინდიელის ფესხაცემელს?

- მოკასინი.

- ვინ ასრულებს მთავარ როლს ფილმში «მაია წყნეთელი»?

- ლეილა აბაშიძე.

- რომელ ქვეყანაში გამოიგონეს კომპასი, ქალღი და ქოლგა?

- ჩინეთში, სწორად მახსოვს?

- დიას. რა ჰქვია ბრიყვულად განეულ სამსახურს, რომელსაც განზრახული სიკეთის ნაცვლად ზიანი და უსიამოვნება მოსდევს?

- არ ვიცი.

- მიგანიშნებ, ეს გამოთქმა მას შემდეგ გაჩნდა, რაც კრილოვის იგავ-არაკი «დათვი და მეუღაბნოე» გამოქვეყნდა.

- დათვური სამსახური.

- ამ ფილმის სცენარის ავტორი მერაბ ელიო-ზიშვილია. მონაწილეობენ: დოდო აბაშიძე, ლია კაპანაძე, მზია მალაკელიძე, ზურაბ ქაფიანიძე. გადაღებები ერნოს ტბაზე მიმდინარეობდა, პრემიერა 1968 წელს გაიმართა. დაასახელე ეს ფილმი და მისი რეჟისორი.

- მერაბ კოკონაშვილის «დიდი მწვანე ველი».

- რომელი კომპოზიტორის მუსიკა დაედო საფუძვლად საქართველოს ჰიმნს?

- ზაქარია ფალიაშვილის.

- რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ფინეთის დედაქალაქი - ჰელსინკი?

- ბალტიის ზღვის.

- რას უწოდებენ იმ გამოჩენილ ადამიანებს, რომლებიც გაეროს მსოფლიოში მშვიდობის დამყარებაში ეხმარებიან?

- კეთილი ნების ელჩებს.

- «თითქოს მზეს ჩამოვარდნოდა», «ბრონეულის ყვავილივით ჰყვოდან», «ერთი მუჭა მინის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ სილამაზეს»... რომელ პერსონაჟს ახასიათებს ასე გიორგი ლეონიძე?

- მარიტას.

P.S. აი, ასე დავასრულეთ ინტერვიუ მარიტასავით ლამაზ, სათნო და ქართული გარეგნობის ქალბატონთან, რომლის გონიერებაც სილამაზესთანაა ალიანსში.



რუბრიკის სტუმარია რუსეთში მცხოვრები კიდევ ერთი ქართველი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ქალბატონი დიანა ლურწყაია. იგი სხვა ქართველების მსგავსად 90-იან წლებში წავიდა რუსეთში, კერძოდ კი მოსკოვში და წარმატებული კარიერაც აიწყო. დიანამ მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა ფესტივალზე რუსეთს არაერთი გამარჯვება მოუტანა. 2008 წელს კი ევროვიზიაზე საქართველოს სახელით წარსდგა. ორიოდე წლის წინ მომღერალმა და მისმა მეუღლემ პიოტრ კუჩერენკომ საქველმოქმედო ფონდი "გულის კახილი" დააფუძნეს, რომლის ეგიდით მოსკოვში ფესტივალი "თეთრი ჯოხი" ტარდება, სადაც მონაწილეობენ უსინათლო და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები. მათ შორის იყვნენ საქართველოდანაც, კერძოდ კი იმ სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები, რომელიც ერთ დროს თავად მომღერალმა დაამთავრა.

- დედ-მამაზე ყოფილხართ ნაწყენი, რადგან სკოლა-ინტერნატში მიგაბარათ. თქვენს ბავშვობაზე გვიამბეთ, რა მოხდა?

- არა, ნაწყენი კი არა ვარ, უბრალოდ ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე რთული პერიოდი იყო, რადგან ოჯახიდან შორს ყოფნა გამიჭირდა. 7 წლამდე უბედნიერესი ბავშვობა მქონდა, სხვა ბავშვებისგან არ გამოვიჩნეოდი, მეც ისევე დავრბოდი ეზოში, როგორც სხვები, ისევე ვთამაშობდი დახუჭობანას. მერე სკოლა-ინტერნატში მიმიყვანეს. სხვა გამოსავალი არც იყო, თუმცა გული მტკიოდა. დედის გარეშე ღამე განსაკუთრებით მძიმე იყო. ინტერნატში ძალიან თბილი მასწავლებლები და ძიძები მყავდა. იქ ვისწავლე დამოუკიდებლად ცხოვრება, ცუდისა და კარგის განსხვავება, წიგნის სიყვარული. ამ ყველაფერს შინ ვერ ვისწავლიდი, რადგან მანებივრებდნენ... ინტერნატში კი სხვაგვარი რეალობის წინაშე დავდექი. ცოტა ხნის წინ ვიყავი ჩასული, აუცილებელი ნივთები ჩავიტანე, მომავალში მეტის გაკეთებას ვეგემაღ...
- მაგრამ პროფესიად მუსიკა აირჩიეთ..

- მუსიკის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია. მეჯეროდა, რომ ესტრადაზე ოდესმე მაინც გამოვიდოდი. ამაში დედ-მამაც ძალიან დამეხმარა და განსაკუთრებით ჩემი უფროსი ძმა რობერტი. ისე 4 დედმამიშვილი ვართ, ყველა ძალიან მიყვარს და თითოეულთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. მაგრამ რობერტი ჩემთვის ყველაფერია, ჩვენ შორის 16 წელია სხვაობა. ფაქტობრივად, მის ხელში გავიზარდე და იცის ჩემი ხასიათი...ტყუილს ვერ ვიტან და პატივბაც მიჭირს.

- ხშირად გატყუებდნენ?

- ახლობლები ნაკლებად. რობერტმა იცის ხოლმე თქმა, ჯობია ჩემგან გაიგო სიმართლე, თორემ სხვამ შეიძლება არც კი გითხრასო. მას არასდროს მოვუტყუებია. ტყუილს ვგრძნობ, ისევე როგორც ყველა და არა იმიტომ, რომ რამე განსაკუთრებული გრძნობა მაქვს.

- რა ჰქვია მაგ გრძნობას?

- ქალური ინტუიცია. ცხოვრებისეული გამოცდილებაც მაქვს და ჩემი მოტყუება ცოტა რთულია. ამიტომ მომანერწნ ხოლმე, ამას რაღაც

ზეგრძნობა აქვს განვითარებული. არა, ბატონო, ქალური ლოგიკის და ინტუიციის ამბავია.

- თქვენს ოჯახზე გვიამბეთ, ვინ არის თქვენი მეუღლე, სად გაიცანით?

- პეტრე ირინა ხაკამადამ გამაცნო. ხაკამადასთან ჩემს საქმეზე ვიყავი მისული და იურიდიულ საკითხებზე მასთან გადაგვამისამართა. იგი დღეს პროფესორია, პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტში იურისპრუდენციაში ლექციებს კითხულობს. ასე გავიცანიოთ ერთმანეთი, მერე

მის შოუბიზს არ მოეწონებინათ უსინათლო სოლი შვილისთვის. თუმცა მსგავსი რამ არ მოხლანა.

დაემეგობრდით. ერთ დღესაც გასტროლებიდან ძალიან დაღლილი ჩამოვედი, პეტრე სახლში დამხვდა, ჩემები ყველანი სადღაც გაიფანტნენ, გავბრაზდი კიდეც, ეს კაცი რას შემატოვეს-მეთქი. ლაპარაკის თავიც არ მქონდა, მაგრამ რაღას ვიზამდი, ქართული სტუმართმოყვარეობის ამბავი ხომ იცით? ჰოდა, სიყვარულიც იმ დღეს ამიხსნა. თავიდან ძალიან გამიჭირდა დაჯერება, რადგან ჩემი მდგომარეობა კარგად მქონდა გაცნობიერებული.

- გეშინოდათ?

- არა, უბრალოდ არ მინდოდა, ამ მდგომარეობის გამო ჩემთვის ვინმეს ხელი ეკრა და ყოველთვის ვცდილობდი, სიტუაცია აქამდე არ მიმეყვანა. ისიც კარგად მესმოდა, რომ შეიძლებოდა, მის მშობლებს არ მოენდომებინათ უსინათლო ცოლი შვილისთვის. თუმცა მსგავსი რამ არ მომხდარა. პეტრეს ავუხსენი, რომ 1-2 საათით სცენაზე მდგომი ქალი სხვა არის და მთელი ცხოვრება უსინათლო ქალთან ცხოვრება, სხვა რეალობა-მეთქი. ამ ამბიდან 2 წლის თავზე ვიქორწინეთ. მყავს ერთი შვილი, კონსტანტინე,



„ყველაზე მეტად სასლიდან ნასვლა არ მიყვარს - ქართან აყუდებული ჩემოდნები ბავშვობიდან სასლთან განშორებასთან ასოცირდება და ქალიან მთრგუნავს

რომელიც ნამდვილი ქართველია.

- გავიგეთ, მეუღლეს გაგიქართველებიათ?

- (იცინის) სახლში რაღაცის საიდუმლოს თქმა თუ მინდა, ვხვდები, რომ მეგრულზე უნდა გადავიდე, რადგან პეტრეს ქართული გადასარეგად ესმის, მგონი, უკვე მეგრულიც ისწავლა და დავიღუპე (იცინის). მე დღეს ძალიან ბედნიერი ქალი და დედა ვარ, რისთვისაც პირადად პეტრეს მინდა მადლობა გადავუხადო. ვცდილობ, ჩემი შვილი ნამდვილ ქართველად აღვზარდო, ქართულ ცეკვაზე დადის და ქართულიც კარგად იცის. მისი აღზრდა არავისთვის მიმინდვია, შვილი დედამ უნდა აღზარდოს. მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული ვარ, ვცდილობ, მასთან ყოფნა ყოველთვის მოვახერხო. ყველაზე მეტად სახლიდან ნასვლა არ მიყვარს,

ტანსაცმელის ჩალაგება, ნივთების მოგროვება... ქართან აყუდებული ჩემოდნები ბავშვობიდან სასლთან განშორებასთან ასოცირდება და ძალიან მთრგუნავს.

- მკაცრი დედა ხართ?

- მამა გვყავს რბილი და ამიტომ ბუას როლი მე ვიკისრე (იცინის). კონსტანტინეს

„მე არც ნავსულვარ... სულით და გულით ყოველთვის საქართველოში ვარ“

"აშინებენ", აი, მოვა დედა და ყველაფერს ვეტყვი. ადრე უფრო დამთმობი ვიყავი, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ შევიცვალე, ისეთი სამსახური მაქვს, სხვაგვარად არ გამოვა.

- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას როგორ შეაფასებდით?

- პოლიტიკაში არ ვერევი. რაც შემიძლია, ის არის, რომ ტაძარში ვიარო და საქართველოს კეთილდღეობაზე ვილოცო. პოლიტიკაზე კი პოლიტიკოსებმა ისაუბრონ.

- თქვენ ერთი აფხაზეთის ომი გამოიარეთ. 2008 წლის ომს როგორ შეაფასებთ?

- ომი როგორ შეიძლება ვინმეს მოსწონდეს? ჩემი ოცნებაა საქართველოში ნებისმიერმა ბავშვმა ბედნიერად იცხოვროს.

- როგორც ქართველს თვითდამკვიდრება ხომ არ გაგიჭირდათ?

- არა, ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა და მაქვს, რადგან პრობლემას არასდროს არავის ვუქმნი.

- რუსეთშიც და საქართველოშიც აშკარად გწყალობენ, მტრად არ გამოგაცხადეს, მაშინ, როცა დღემდე სხვებს მხოლოდ იმიტომ აგინებენ, რომ რუსეთში ცხოვრობს. ეს როგორ ავხსნათ?

- მეც და ყველა აქაურ ქართველს სხვაზე ნაკლებად არ გვიყვარს საქართველო, რაც საქმით არაერთხელ დაგვიმტკიცებია და რაც ქართველმა ერმა თავისი სიყვარულით დაგვიფასა. დანარჩენი პოლიტიკის ნაწილია.

- საქართველოში ხომ არ გეგმავთ სოლო კონცერტს?

- დათო კენჭიაშვილთან ერთად ალბომის ჩანერას ვაპირებ, ხოლო კონცერტს ცოტა მოგვიანებით გავმართავ. მინდა, რომ ძალიან ლამაზი გამოვიდეს და ჩემი ქართველები გავახარო...

- ყველა აქაურ ქართველს ვეკითხები და თქვენც ვკითხავთ, საქართველოში დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?

- მე არც წავსულვარ... სულით და გულით ყოველთვის საქართველოში ვარ.

პუტინის ბრძანებით ინვალიდთა კომისიის წევრი გახდა...

თეა ღვანიია



ინა ლუჩანია 1978 წლის 2 ივლისს სოხაში დაიბადა. მშობლები 7 წლის ასაკში თბილისის ავიატორთა სასახლის სასწავლებელში მიიღეს, ხას მისთვის ახასიათაობა მოგონებებთან ასოცირება, ხაზან მოხილან შოხს, დაე-მამის ბაჩაშა, ხალობასთან პიჩისპიჩ ალორდა. თამა სმოხე ეს ხალობა ბახე მისი ნახაბახის სანიდახი. ინაინაში მან დამოუკიდებელ სმოქიბა ინაინა, ბანაოდას მილო და სოტა ხნის წინ მოსაოვის ლომოსოვის სახელობის სახელოლო უნივერსიტეტის ხალობაბათმოსოდაბის ფაქულტეტის მახისხაბაქაშის ჩაბაჩა.

ბაჩე იმისა, ხომ ლუჩანია ხალობის დამახაბაბანი ახისხია, ხალობის ფელოხასიის საბჭოს თამაქლომახასთან ახაბანი საზობალობიხივი საბჭოს ნაქიისა, 2010 წლიდან ჯი ხალობის პოლიტპიჩაბის სამოქალაქო ინსტიტუტების ბანკითაბის საზობალობიხივი საბჭოს ნაქიი; 2011 წლიდან ხალობის მე-4 მოწავის საზობალობიხივი პანახის საბალო ჯბაფს 'საზობალობაში თანაბაჩი უბაბაბისათვის' ხალობაბალობს. 2013 წლიდან ჯი უბალო პაბინის ბიბაბაბით პიბიბაბასთან ახაბანი ინაინათა ჯობისიის ნაქიი ბახე. ეს ის მსიხა ჩამონათვანი, ხისთვისას ლუჩანიას სმოქიბაში მილოწავი.

იასამანს დაუკარგა თუჩი

იასამანისგან ხანსსვაფებით მანანა კარტოზიას ცხოვრებას გრწყინვადება არასდროს დაუკარგავს

სიმშვიდისა და სათნოების ქალღმერთი, ექიმი, მუსიკოსი, ხელოვანი, ცხოვრების მარად ფერადუპარავი იასამანი **მადიკო კარტოზია** ჩვენი რუბრიკის სტუმარია, რომელსაც ამ ყველაფრის გარდა კოლექციონერობის ნიჭიც ალმობნდა.

12 წლის წინ სრულიად შემთხვევით დაიწყო კოლექციის შეგროვება. დღეს ოთხსაამდე მინიატიურული ფხსაცმლისა და უცნაური სათნოების კოლექცია აქვს. თავდაც მეტალითა და გუმბულებით კომპოზიციებს ქმნის, ხატავს, წერს, მღერის, ექიმიცა და ერთ ადგილზე ცხოვრებას ვერ ეგუება, რის გამოც ხშირად იცვლის საცხოვრებელ მისამართს. ეს ქალბატონი მადიკო კარტოზია გახლავთ. - კოლექციის შეგროვება საკმაოდ დიდი ხნის წინ დავიწყე. ალბათ ბევრს ახსოვს, რომ ადრე ოჯახში პატარა ფხსაცმელები - სანამეები ჰქონდათ. დღეს რომ გარდაიცვალა, ერთი ასეთი ფხსაცმელი მეც დამრჩა სახსოვრად. ერთ დღეს ჩემი შვილიშვილები მეწვივნენ. ეს ფხსაცმელი ქალიან მოსწონდათ, ხშირად თამაშობდნენ და ასე თამაშ-თამაშში შემოატყდათ. არაფერი მითქვამს, მაგრამ რომ შემომხედეს, სახეზე აშკარად დამატყო, რომ ქალიან მეყვინა. რამდენიმე დღეში ორივე მათგანმა თითო-თითო ცალი ლამაზი დეკორატიული ყვითელი და მწვანე ფხსაცმელი მომიტანა. მას შემდეგ კიდევ რამდენიმე მეგობარმა მაჩუქა დეკორატიული ფხსაცმელი და ასე დავიწყე კოლექციის შეგროვება. გოლოს მეც ვქმნიდი კომპოზიციებს, მაქვს ჩემი შექმნილი რამდენიმე ფხსაცმელიც... დღეს ჩემს კოლექციაში არაერთი ქვეყნიდან ჩამოტანილი ფხსაცმელია თავმოყრილი. ჩემი გატაცების შესახებ მეგობრებმა იციან და თუ სადმე მიდიან, ჩემთვის საკოლექციო სუვენირი აუცილებლად ჩამოაქვთ. დღეს 360 მინიატიურული ფხსაცმელი მაქვს. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ჩემი საკოლექციო ნივთებიდან რომელიმე ან დამიკარგოს, ან გამიტყოს.

- გარდა ფხსაცმელებისა, უცნაური სანთელების კოლექციაც გაქვთ...

- კი, ჩემს მეორე კოლექციაში ისეთი სანთელებია თავმოყრილი, რომლებიც სანთელებს სულაც არ ჰგავს. აქ არის ეტლები, ზარბაზნები, ბურთები, თავის ქალები, კამათლები, გემი, გიტარა, სკამი... ერთი შეხედვით ვერც კი წარმოიდგენ, რომ ამ ნივთებიდან შეიძლება ალი ამოვიდეს.

- გარდა იმისა, რომ მღერით, ხატავთ, ქმნით სამკაულებს, კომპოზიციებს...

- ეს ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა საქართველოში უშუქობა, უგაზობა და „უყველაფრობა“ ბატონობდა. ჩემმა ხელოვნებით დაინტერესებამ ის რთული პერიოდი იოლად გადამატანინა. ყოველთვის, როცა გარშემო ცუდი სიტუაციაა, ვცდილობ, ჩემი გარემო შევიქმნა და



რეალობას გავერიყო. ნამუშევრები კომერციული თვალსაზრისით არასოდეს შემიქმნია. არც იმაზე მიფიქრია, მათით ვინმე დაინტერესდებოდა თუ არა. უბრალოდ მომწონდა ის, რასაც ვაკეთებდი. ვცდილობ, ჩემს ნამუშევრებში თავისუფლება იგრძნობოდეს. არის დრო, როცა ხატვით ვინტერესდები. დროთა განმავლობაში სხვა რამ მაინტერესებს და ბოლომდე გადავეშვები ხოლმე ახალ გატაცებაში. ამჯერად ბატიკით ვარ დაინტერესებული. მინდა, რომ მასზე გადავერთო.

- თქვენს ნამუშევრებში მრავალფეროვანი მასალა გამოყენებული...

მეტალი, ხე, ბუმბული, ქსოვილები... მუშაობისას სხვადასხვა მასალას ვიყენებ. სახლში ჭაღიც კი ჩემი გაკეთებულია. ნამუშევარი დაახლოებით ვიცი, თუ როგორი უნდა გამოვიდეს, თუმცა შეიძლება სხვა რამ მქონდეს ჩაფიქრებული და სრულიად სხვა გავაკეთო. მთავარია, ნამუშევარი მე მომეწონოს. მერე კი მას ჩემი შვილები აფასებენ. მათი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. ბოლოს კი მეგობრები ნახულობენ ყველაფერს, რომლებსაც ჩემთან მოსვლა ძალიან უყვართ, ალბათ მოსწონთ ის გარემო, რომელსაც მე ვქმნი. ვანყობთ ლიტერატურულ საღამოებს, აზრებს ვუზიარებთ ერთმანეთს...

- როდის დაინტერესდით ხელოვნებით?

- ეს ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა მოთხრობების წერა დავიწყე. მერე ჩემი ქალიშვილი სამხატვრო აკადემიაში აპირებდა ჩაბარებას. მოსამზადებლად რომ მიდიოდა, მეც დავყვებოდი. ერთ დღეს მისმა რეპეტიტორმა შემომთავაზა, ხატვას ხომ არ ცდიდითო? მაშინ უარი ვუთხარი, ერთ ოჯახში 2

მხატვარი მეტისმეტია-მეთქი, მაგრამ მერე, როცა ომი დაიწყო, ვიჯექი და მთელი დღე ვხატავდი. ამ დროს რეალობას ვემიჯნებოდი და როგორც ჩანს, ეს ჩემთვის ერთგვარი თავდაცვის საშუალება იყო.

- ვინმეს თუ იცნობთ, რომელიც თქვენსავით ფეხსაცმელების კოლექციას აგროვებს?

- არა, არასოდეს მსმენია. თუმცა ვინც ჩემს კოლექციას ნახულობს, ყველას მოსწონს. ბევრს ჰგონია, რადგან ფეხსაცმელების კოლექციას ვაგროვებ, ჩაცმა-დახურვისადმი განსაკუთრებული სიყვარულით გამოვიჩნევი. არადა, ასე სულაც არ არის. მთავარია, მიხედვოდეს. მახსოვს, ერთხელ წვეულებაზე ვიყავი, სადაც ჩემზე თქვეს, მედიკოს სახლში მინიატიურული ფეხსაცმელების კოლექცია აქვსო და ყველამ ჩემს ფეხსაცმელებს დაუნყო ყურება (იცინის). სხვათა შორის, დილით, სანამ სახლიდან გავალ, ჯერ ბეჭედს ვიკეთებ და შემდეგ ვიმოსები. ტანსაცმელს სამკაულებს ვუხამებ.

- რა მასალით ამზადებთ სამკაულებს?

ნატურალური ქვებით. ამბობენ, რომ ჩემს გაკეთებულ სამკაულს დადებითი ენერგია აქვს. მეც შე-მინიშნავს ეს. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩემი და ჩემი შვილების გარდა სამკაული არავისთვის გამიკეთებია, არ შემიძლია.

- ქალბატონო მედიკო, როგორც ვიცი, ერთ ადგილზე გაჩერება არ გიყვართ და არაერთი ბინა

**გვიღს ვითსაკი, მე ჩოხ მოვაკლავი,
უფრო იაფი ღაუჯღაგათ, თუ ყველა
სახლზე გამოაქრავენ, აჰ გეღიკო
კარგოზიას არ უხსოვრია-გეთიქი...**

გაქვთ გამოცვლილი...

არა მარტო ბინა, სამსახურებიც... მიყვარს მოგზაურობა, ერთ ადგილზე ვერ ვჩერდები. დღეს სადაც ვცხოვრობ, ჩემი მეშვიდე ბინაა... როცა ბინას ვიცვლი, თითქოს ახალ ცხოვრებას ვიწყებ. გავყიდი ძველს, შევიძინე ახალს და ახალი ცხოვრება იწყება. ბინიდან ბინაში მოგზაურობა მიყვარს, თორემ ქვეყნებში მოგზაურობა - არა. თბილისს ვარ მიჯაჭვული, ნივთებთან შეჩვევა კი ძალიან მიჭირს. შეიძლება ძალიან მომწონდეს,



იცვლი ბინებს, შენ ისევ იმ ძველ თბილისს ეძებო და ალბათ მართალიცაა... არაჩვეულებრივი სამეზობლო გვექონდა, როცა სოლოლაკსა და ვაკეში ვცხოვრობდი. დროთა განმავლობაში კი, როცა ყველაფერი შეიცვალა, მე ისევ იმას ვეძებ, ძველს, ნაცნობს... სხვათა შორის, ხშირად ისეთ სახლში ვცხოვრობდი, რომელიც 2 უბნის საზღვართან იდგა. ჭავჭავაძის ქუჩაზე ვცხოვრობდი, სადაც მოპირდაპირე ტროტუარი მთანმინდას ეკუთვნოდა, ჩემი ტროტუარი კი სოლოლაკს. ვაკეშიც მოპირდაპირე ტროტუარი ვერა გახლდათ. ახლა სადაც ვცხოვრობ, ჩემი ტროტუარი დიდუბეს ეკუთვნის, მოპირდაპირე - ჩუღურეთს. მოკლედ, მესაზღვრე ვარ... იქ, სადაც

მაგრამ ერთ დღეს აუცილებლად მომბეზრდება. კიდევ კარგი, ადამიანების მიმართ არ მაქვს ასეთი დამოკიდებულება (იცინის).

- ასეთი დამოკიდებულება თქვენი კოლექციის მიმართაც ხომ არ გიგრძნიათ?

- არა, მას ვერ შეველევი.

- ასე მოგზაურობა-მოგზაურობაში რამდენი უბანი გამოიცვალეთ?

- ამას წინათ, მე და ჩემი შვილი „მარშრუტკით“ ვმგზავრობდით. სახლთან ჩავიარეთ, სადაც მემორიალური დაფა იყო გამოკრული. შვილს ვუთხარი, მე რომ მოვკვდები, უფრო იაფი დაუჯდებათ, თუ ყველა სახლზე გამოაკრავენ, აქ მედიკო კარტოზიას არ უტყვოვრია-მეთქი (იცინის). ჩემმა შვილმა მითხრა, - ვიცი, ასე ხშირად რატომაც


ადრე ვცხოვრობდი, გავლაც აღარ მინდა. გული მტკივა იმ ადგილის ნახვისას. ძალიან მენატრება ძველი დრო, მაგრამ ველარ ვიბრუნებ.

აი, ასე დავასრულეთ ინტერვიუ მრავალმხრივი ნიჭითა და შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებულ ქალბატონთან, რომლის სახელიც რატომღაც იასამნის საგალობელს მაგონებს. დიახ, იასამანს შეიძლება დაეკარგოს ფერი, მაგრამ მანანა კარტოზია ჩემი ბავშვობის დროიდან მოყოლებული ყოველთვის ასეთი აქტიური, მხიარული და საინტერესო ადამიანი მახსოვს.

იცოცხლეთ დიდხანს, ქალბატონო მანანა, თქვენ ადამიანების სულიერი განწყობის სრულფასოვანი მკურნალი ხართ.

მამა გაბხიერის გამონათქვამები

- ✓ შიშით და მონინებით უნდა ილოცო. როცა ლოცულობ, გაიაზრე ვის წინაშე დგახარ, ვის ესაუბრები, ქრისტე უხილავად არის ჩვენთან, სულ არს ღმერთი.
- ✓ ივერიის ღვთისმშობლის ხატი რომ დააპირებს ათონის მთის დატოვებას, ზარების რეკვა ატყდება, ეკლესიები ხილული სახით მოიხრებიან გაცილების მიზნით. ყველაფერი იქნება ტელევიზიით, ეს არის ღვთის წყალობა, რათა მსოფლიომ ნახოს და გადასარჩენი სულები აქ ჩამოვიდნენ, საქართველოში.
- ✓ თუ ღვთის მცნებებს არ იცავთ, ნუ დალლით უფალს ბევრი ლოცვით, არ მოგისმენთ და ლოცვა ცოდვად შეგერაცხებათ.
- ✓ ყველა ვერ გადარჩება. ვერც მე შეგინყალო, ვერც უფალმა შეგინყალოს, შენი თავი შენ თვითონ თუ არ შეინყალე. ვინც სულს გადაირჩენს და სხვასაც შეენწევა სიტყვით და საქმით, ის ქრისტეს მცნების შემსრულებელია.
- ✓ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და რაც საქართველოში ხდება, ეს განსაცდელი ჩვენს სასიკეთოდაა. არ მიატოვოთ საქართველო, არ განარისხოთ ღვთისმშობელი.
- ✓ წინდა წინასწარმეტყველების ენუქისა და ელიას ბრძოლას ანტიქრისტესთან ტელევიზიით გადასცემენ.
- ✓ ბოლო ჟამს ადამიანებს სიმდაბლე, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს. სიკეთე სამოთხის კარს გაგიღებს, სიმდაბლე შიგ შეგიყვანს და სიყვარული ღმერთს დაგანახებს.





სამეგრელო ჩქარულხაზინი

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად, სამეგრელოს მოსახლეობაში იცვლებოდა არსებული ადათ-ჩვევები. მაგრამ ძველიც სამუდამოდ არ ისპობოდა და ამ ძველის დამახასიათებელი ზოგიერთი ჩვევა გადმონაშთის სახით არსებობას განაგრძობდა.

ჩვენ მიერ აქ აღწერილი ადათ-ჩვევები ეკუთვნის 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდს და იგი არსებითად განსხვავდება დღევანდელისაგან.

ნიშნობა და ქორწილი

სამეგრელოში წინათ ქალ-ვაჟის დაქორწინება მხოლოდ მშობლებს ეკითხებოდა და ვისაც მშობლები აირჩევდნენ, ჯვარსაც იმაზე იწერდნენ. ნიშნობამდის, პირველ ყოვლისა, უნდა გამოერკვიათ ქალ-ვაჟისა და მათი მშობლების ვინაობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა და სხვა. ამისათვის ირჩევდნენ შეუკაცებს — „მარებელს“, რომელსაც ევალეებოდა ამ საქმის გამორკვევა.

ძველად სამეგრელოში ცოდნით ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნა, რასაც „ონნემ-იკოდგუმა“-ს უწოდებდნენ. ამას აწყობდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც მათ მშობლებს ერთმანეთის ხათრი და სიყვარული ჰქონდათ და სურდათ დანათესავება. მაშინ ვაჟის მშობლები მიიყვანდნენ ქალის ოჯახში და აქ ორივე აკვანს ერთად დადგამდნენ და იტყოდნენ: „იყავით ბედნიერი ცოლ-ქმარიო და ღმერთმა ერთმანეთს მზე და მთვარესავით შეგაბერთო“. დასასრულს, ბავშვის მშობლები ერთმანეთს გადაკოცნიდნენ და უსურვებდნენ ახლადდანიშნულებს გაზრდასა და ბედნიერებას. ამასთანავე, ვაჟის პატრონი ქალის

აკვანზე ჩამოკიდებდა სანიშნოდ რაიმე სამკაულს და ამ დღიდან ქალი ითვლებოდა ვაჟის საცოლედ.

...

სამეგრელოში წინათ გავრცელებული იყო აგრეთვე ქალის გატაცება. ქალი მოსწონდათ, მაგრამ ქალის ოჯახი მათ სწუნობდა და ქალს არ აძლევდა, მაშინ ვაჟი ამხანაგების დახმარებით, საცოლეს იტაცებდა და მას ერთი წლით სადმე გადამალავდა. საზოგადოდ, სამეგრელოში ქალის მოტაცება ვაჟისა და მისი ოჯახისათვის სასახლო და საქებარი საქმე იყო, ქალის ოჯახისათვის კი ეს გარემოება იყო დამამცირებელი და სამარცხვინო.

ქალ-ვაჟის დანიშნის საქმეში მთავარ როლს თამაშობდნენ მათი დედ-მამა, ბიძა, ძმა და შუამავლები — „მარებელი“. მათი შეთანხმების შემდეგ, ეწყობოდა ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის გასინჯვა, რასაც ეწოდებოდა „გინოძირაფა“.

გასინჯვა წინათ უფრო ღამე სცოდნით, რომ სოფელში ხალხს არ გაეგო ეს ამბავი, რადგანაც დანუნების შემთხვევაში, ქალს სახელი გაუტყდებოდა. ამიტომ, ცდილობდნენ ქალის გასინჯვა მოენწყოთ ოჯახში ფარულად და საიდუმლოდ.

ნიშნობის დღეს ქალის ოჯახში გაიმართებოდა სადილი და ვაჟი გამოგზავნიდა ბიძასა თუ ძმის ხელით სანიშნო ტანისამოსს და სამკაულებს — „შინა“-ს.

ქალის ნიშნობას ჩქარა მოჰყვებოდა ჯვარისწერა და ქორწილი. ამისთვის დღეს ამოირჩევდნენ, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

ჯვარდანიერულ ნეფე-დედოფალს ეკლესიიდან გამოიყვანდნენ, კარებში ორი მაყარი დადგებოდა

გადაჯვარედინებული ხმლებით, რომლის ქვეშ გაატარებდნენ „სინჯა და მოჭყუდუ“-ს ნეფე-დედოფალს.

გაიშლებოდა ქორწილის სუფრა. თუ დიდი ქორწილი იყო, აშენებდნენ ფარდულს — „სეფა“-ს, სადაც ქალები და კაცები ცალ-ცალკე სხდებოდნენ. დადე და მაცრები პირველად შემოიყვანდნენ პატარძალს და სუფრასთან დასვამდნენ. გაიმართებოდა შესანევარი — „გინოთამა“ და პატარძალს ეწოდნენ ფულით და ნივთებით.

ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, სამეგრელოში ძველად გავრცელებული და წესად იყო მიღებული ბავშვის გაყიჟავება. ეს წესი ხელს უწყობდა ღარიბსა და შეუძლო გლეხს დაახლოებოდა შეძლებულ ოჯახს, რომელსაც შეეძლო მისთვის გაენია დახმარება და მფარველობა.

მიცვალებულის გასვენება, ტირილი და გლოვა

ადამიანის გარდაცვალების მწუხარებას სამეგრელოში გამოხატავენ კივილით, თმების გლეჯითა და პირისახის დაკანვრით, რაც დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს მეგრული ტირილისათვის, მომავლად ადამიანს ხელში მისცემენ ანთებულ სანთელს, კარ-ფანჯარას გააღებენ, რომ მიცვალებულის სული დაუბრკოლებლივ გავიდეს სახლიდან და საიქიოში გაემგზავროსო.

გარდაიცვლება თუ არა ადამიანი, მაშინვე ჭირისუფალი ასტეხს საშინელ კივილს, კაცები კი ხმამაღლა მოსთქვამენ. მიცვალებულის ლოგინს მაშინვე მოარღვევენ და მას სხვაგან გაასვენებენ, კივილით სოფელი იგებს ადამიანის გარდაცვალებას და ყველანი გამორბიან მიცვალებულის ოჯახში.

მესამე ან მეოთხე დღეს შეუდგებოდნენ მიცვალებულის გასვენების თადარიგს.

ტირილის დღეს მოინვევდნენ მოზარეებს, რომელიც შედგებოდა ოთხი-ხუთი კაცისაგან. შუადღისას გაიმართებოდა ქელეხი სამარხვო საქმელებით.

ქელეხი გათავდებოდა თუ არა, დაიწყებოდა მიცვალებულის დატირება.

წინათ არც კუბო სცოდნიათ, მიცვალებულს სუდარაში შეახვევდნენ თურმე, დაასვენებდნენ საკაცზე, ისე მიიტანებდნენ სასაფლაოზე და ჩამარხავდნენ.

სასაფლაოდან დაბრუნებული ჭირისუფალს ეზომივე ხელ-პირს დააბანიებდნენ, რომ კურცხალი — ცრემლი შინ არ შეჰყვესო. მგლოვიარე დედა და ცოლი ზოგჯერ წლამდის შავ ძაძებში და ფეხშიშველი დადიოდნენ, ლოგინშიაც არ წვებოდნენ,



მარხულობდნენ და შიმშილობდნენ.

მესამე დღეს იცოდნენ „კილემ გონწყუმა“, რომ სახსნილო ეჭამა ჭირისუფალს და ამის შემდეგ, მიცვალებულის მოკეთებებსა და მეზობლებს შეეძლოთ ხორცის ჭამა.

მეორმოცე დღეს, შაბათს გადახიდიდნენ მიცვალებულის ორმოცს. ამის შემდეგ დაიწყებოდა სამზადისი მიცვალებულის წლისათვის მოსაწყობად, რომელსაც „მონანუა“-ს უწოდებდნენ.

წლისთავზე მიცვალებულს საფლავზე ქვას დაადებდნენ, რომელსაც ეწოდებოდა „ოდუდალე ქუა“. საფლავის ქვაზე აწერდნენ მიცვალებულის ვინაობას, გარდაცვალების დროსა და რიცხვს.

მიცვალებულის ხსოვნას წლისთავის შემდეგაც არ ივიწყებდნენ და ყოველ დიდ დღესასწაულებში — შობას, აღდგომას, ამაღლებას და სხვა დღეებშიც სასაფლაოზე აგზავნიდნენ საკურთხეს, დაუნთებდნენ საფლავზე სანთლებს და შენდობას ეტყოდნენ.

სამეგრელოში გლოვაც ხანგრძლივი იცოდნენ. ზოგიერთი 10-15 წელიწადს გლოვობდა საყვარელ ძმასა და ქმარს. ქვრივი ქალის გათხოვება არ იყო მოსაწონი.

ჩალიბია

ქართული წარმართული წესების შესწავლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა კვირეულის დღეების მეგრულ სახელწოდებას, რომელიც დაკავშირებული იყო მნათობთა თაყვანისცემასთან.

კვირეულის დღეები მეგრულ სახელწოდებათა მიხედვით, მოცემულია მნათობ-ღვთაებათა შვიდეულის ასეთი შემადგენლობა და სახელები:

ქართული

- კვირა (მზის დღე)
- ორშაბათი (მთვარისა)
- სამშაბათი (არია-მარსი)
- ოთხშაბათი (ჰერმეს-მერკური)
- ხუთშაბათი (აფროდიტე-ვენერა)
- პარასკევი (ზევსი-იუპიტერი)
- შაბათი (კრონისი)

მეგრული

- ჟაშხა
- თუთაშხა
- თახაშხა
- ჯუმაშხა
- ცაშხა
- ობოშხა
- საბატონი

„ხელს გვიწლიან... უწინაც ასე იყო და მოგავალშიც უგვიწლიან“

ექსკლუზიური ინტერვიუ რუსეთში მოღვაწე ქართველ გულს ჯადოქართან

მართალია, საქართველოში არ ცხოვრობს, მაგრამ ლეო ბოკერია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართველია.

პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო კარდიოქირურგი, აკადემიკოსი ლეო ბოკერია 1994 წლიდან ხელმძღვანელობს ა. ნ. ბაკუღევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრს.

ის მოსკოვში ცხოვრობს და ამაყად ამბობს, რომ ქართველია. როგორი იყო ფოთში გაზრდილი ბიჭისთვის გზა აკადემიკოსობამდე, ლეო ბოკერიამ ექსკლუზიური ინტერვიუში მოუთხრო:

- ფოთში, ჩვენს ქუჩაზე, 31 სახლი იდგა. ბევრ ოჯახში მამები ომიდან არ დაბრუნებულან, მაგრამ თითქმის ყველა ოჯახში ბიჭი იზრდებოდა. ძირითადად, ქუჩაში ვიყავით. კარგი მეგობრები მყავდა.

ვინც ცოცხალი დავრჩით, ახლაც ძმებივით ვართ. ფეხბურთსა და ჭადრაკს ვთამაშობდით. კალათბურთიც მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ სიმალლე არ მყოფნიდა და არც სხვა მონაცემები მიწყობდა ხელს, მაინც ვთამაშობდი. ყოველდღე ზღვაზე დავდიოდით. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის საბანაო სეზონი ადრე გაზაფხულზე იწყებოდა.

რადგან რუსული სკოლა დავამთავრე, ასარჩევად ბევრი ქალაქი მქონდა. მოსკოვში წავედი და პირველ სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე. საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი.

- ბატონო ლეო, საქართველოდან მოსკოვში ჩასულმა ახალგაზრდამ დიდ წარმატებას მიაღწიეთ. წარმატების გზაზე რა იყო გადამწყვეტი, შრომისმოყვარეობა, ნიჭი თუ კეთილი ადამიანების თანადგომა?

- ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ბავშვობაში ჭადრაკის სიყვარული რომ შემატყო დედამ, ჭადრაკის სახელმძღვანელო მიყიდა. ვიჯექი და ვსწავლობდი პარტიებს. კარგი თანრიგიც მქონდა. სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე მივედი. ორ წელიწადში დავამთავრე და მაშინ



შემომთავაზეს, სამედიცინო ინსტიტუტის ნაცვლად ინგლისური ენის სწავლა გამეგრძელებინა. არ დავთანხმდი.

ინგლისური ენის ცოდნა ძალიან გამომადგა, როდესაც სამეცნიერო მუშაობა დავიწყე. თემამ, რომელზეც მსოფლიოში სულ ორი ნაშრომი იყო გამოქვეყნებული, ძალიან დამაინტერესა, ბიბლიოთეკაში წავიკითხე ინგლისურად. ჯერ საკანდიდატო გავაკეთე, მერე სადოქტორო, მოგვიანებით კი ლენინური პრემია მივიღე. ეს არის ე.წ. ჰიპერბარიული ოქსიგენაციის (ძალიან მაღალი წნევის ჟანგბადით მოქმედება ბავშვებზე, რომელთაც აქვთ ე.წ. ლურჯი, თანდაყოლილი მანკი) მეთოდით ოპერაციის ჩატარება. ოპერაციის დროს ბაროკამერაში ჟანგბადის დონე მატულობდა, ბავშვებს სილურჯე გასდიოდათ და ოპერაციას წარმატებით ვატარებდით.

მერე არითმია დამაინტერესა. ჩვენმა ჯგუფმა (იმ ჯგუფში ჩემი ასპირანტი ამირან რევიშვილი და ორი კაუნასელი ექიმი იყვნენ) სახელმწიფო პრემია მიიღო. ამას იმიტომ გიყვებით, რომ გითხრათ, - თუ ადამიანს რამის მიღწევა უნდა, მთავარია შრომა, შრომა და შრომა.

- მაგრამ საბჭოეთის დროს „ჩანყობა“ და ნაცნობობა იყო გადამწყვეტი. თქვენ კი მოსკოველი არ იყავით...

- არ მინდა ამ კითხვაზე გიპასუხოთ, სხვადასხვანაირ ინტერპეტაციას მოაყოლებენ.

მაგრამ გეტყვით, რომ ბევრი გადავიტანე, რომ ჩემ წინ აღმართული ბარიერებისთვის შემომეწყო. ცხოვრებამ დამანახა, თუ კარგ წიგნს დანერ ან ოპერაციას კარგად გააკეთებ, არ დაიკარგება.

- საქართველოში რა გენატრება?

- ძმაკაცებთან ყოფნა. ფოთში რომ ჩავდივარ, უსათუოდ უნდა მოვიარო ის ქუჩები, სადაც გავიზარდე. ზღვაშიც სწორედ იმ ადგილას უნდა ვიბანაო, სადაც ბავშვობისას. პალიასტომზეც დავდივარ ხოლმე სათევზაოდ.

ჩემს უფროს დას მალარია სჭირდა და მშობლებს ურჩიეს, აფხაზეთში გადადიოთ. ისინიც ოჩამჩირეში დასახლდნენ. სამი წლის ვიყავი, მამა რომ გარდაიცვალა და ოჩამჩირეში დაასაფლავეს.

დედა ბავშვებით (ორი უფროსი და მყავს) დაბრუნდა ფოთში. დედაჩემი რომ გარდაიცვალა, ფოთიდან ოჩამჩირეში გადავასვენე და მამის გვერდით დავასაფლავე.

იქვე ზღვის პირას პატარა სახლი ავაშენე. ახლო ურთიერთობა მქონდა აფხაზეთის ასსრ-ის პირველ მდივან ბორის ადღეიბასთან, რომელიც ჩემი პაციენტიც იყო. ის კაცი რომ დარჩენილიყო თანამდებობაზე, ქართველებსა და აფხაზებს შორის ცუდი არაფერი მოხდებოდა. მოსკოვში ლენინის პროსპექტზე ვცხოვრობ. ოთხი საათი მჭირდებოდა ბაზუშერაში ჩასასვლელად.

პარასკევს ოჩამჩირეში ჩავდიოდი და კვირა საღამოს მოსკოვში ვბრუნდებოდი. 1992 წლის შემდეგ აღარ ჩავსულვარ. მშობლების საფლავზე მისვლა მენატრებოდა. ამიტომაც ორი წელია, რაც მშობლები ოჩამჩირიდან მოსკოვში გადმოვასვენე. რადგანაც ოჩამჩირეში ველარ ჩავდიოდი, ფოთში ავაშენე სახლი.

- ერთგან ინტერვიუში ამბობთ, ნამდვილი ქართველი ვარო. ნამდვილი ქართველის თვისებათაგან რომელს გამოარჩევთ?

- ნიჭიერებას. ჩვენ გვყავდა სტალინი, შოთა რუსთაველი და კიდევ რამდენიმე ისეთი პიროვნება, რომელთა მსგავსი მსოფლიოში არ არსებობს.

- მაგრამ ნიჭიერმა ქართველებმა ვერ ავაშენეთ ისეთი ქვეყანა, როგორც გვინდა.

- ხელს გვიშლიან... უწინაც ასე იყო, ყოველთვის ხელს გვიშლიდნენ და მომავალშიც შეგვიშლიან. ამიტომ ისეთი ფორმულა უნდა მოვნახოთ, რომ ყველას მოუნდეს საქართველოს გაძლიერება. ისეთი ხალხი ვართ, ცუდი არავისთვის გვინდა. ეს უნდა გაიგოს ყველამ. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, ბევრს უნდოდა საქართველოში ბიზნესსაქმიანობა. მაშინდელმა ხელისუფლებამ დრო დაკარგა. ახლა ძნელია უცებ ყველაფრის



მოგვარება, მაგრამ საქართველო სწრაფად უნდა განვითარდეს და აფხაზებიც მოისურვებენ ასეთ ქვეყანაში ცხოვრებას.

- თქვენი პაციენტები პოლიტიკოსებიც იქნებიან.

- რა თქმა უნდა... ჩემი პაციენტები - მინისტრები არიან, უფრო მაღალი რანგის პოლიტიკოსები - არა. ახლა ახალგაზრდა ხალხია მთავრობაში და საექიმო რა სჭირთ? სულ სხვა იყო ადრე, საბჭოთა ეპოქაში, როდესაც ასაკოვანი ხალხი იყო ხელისუფლებაში.

- ყველაზე ხშირად რით ავადმყოფობენ პოლიტიკოსები?

- გულით და სისხლძარღვებით. სხვათა შორის, სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი - სამივე სისხლძარღვის გასკდომის გამო გარდაიცვალნენ. რუსეთში გულისა და სისხლძარღვების დაავადებით მოსახლეობის 96,4% კვდება. პოლიტიკოსებს ყველაზე ხშირად აქვთ ემოციური დატვირთვა. ამის გამო უწევთ წნევა და ხშირად ავადდებიან გულით.

- ქართული სუფრა მიყვარსო, თქვით.

- მიყვარს, აბა, რა! თბილისში ერთი ახლობელი მყავს და სულ მითვლიდა, ჩამოდი, ჩამოდიო. ჩამოვედი. მითხრა, აქა და აქ გვეპატიჟებიან და წავიდეთო. ძალიან დაღლილი ვიყავი და ვუთხარი, მაშინ მალე დავბრუნდეთ სასტუმროში-მეთქი. სამ საათში დავბრუნდებითო. სამის ნაცვლად რვა საათი ვისხედით სუფრასთან. მეორე დღეს მეუბნება, გუშინ გადავაჭარბეთ, მეც დავიღალე და დღეს ცოტა ხნით წავიდეთ ახლობლებთანო. წავედით და 11 საათი გაგრძელდა ქეიფი. ასეა, ქართველებს ქეიფი გვიყვარს და მე გამონაკლისი არა ვარ.

- ქართული ღვინო მოგწონთ?

- ქართული ღვინო ისევ არ შემოდის რუსეთში. კვირაში ხუთ დღეს ვაკეთებ ოპერაციას, ამიტომ

კვირიდან პარასკევამდე არ ვსვამ. პარასკევ საღამოსა და შაბათს კი სუფრასთან შევექცევი ნითელ ფრანგულ ღვინოს.

- ადამიანისთვის რა არის მთავარი - კარიერა, ოჯახი თუ...?

- მთავარი ოჯახია. ორი ქალიშვილი მყავს და ოთხი შვილიშვილი - ორი ბიჭი და ორი გოგო. უკვე შვილთაშვილებიც მყავს.

- თქვენმა შვილებმა იციან ქართული ენა?

- ვერ მოვახერხე მათთვის ქართული მესწავლებინა. მეუღლე რუსია (ჩვენ ერთად ვსწავლობდით ინსტიტუტში და სწავლის დასრულების შემდეგ დავქორწინდით), შინ რუსულად ვლაპარაკობთ და ამიტომ... ჩემი უმცროსი ქალიშვილი 29 წლისა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა და ეს მემამყება. მე 33 წლის ვიყავი, ეს ხარისხი რომ მივიღე. ერთი უნდა ნახოთ, რა ხდება, ჩვენთან რომ მოდიან წინილები (შვილები და შვილიშვილები).

ძალიან თბილი ოჯახი მაქვს. ჩემი უმცროსი ქალიშვილი ჩემთან მუშაობს, ინსტიტუტში. რომ დავინახავ, უსათუოდ უნდა ვაკოცო და მოვეფერო. ერთხელ "დიდი ხალხი" იყო მოსული ინსტიტუტში და გაუკვირდათ, ასე რომ მოვეფერე შვილს. ასეა, გოგოები ძალიან გვიყვარს მამებს.

- პრეზიდენტმა სააკაშვილმა უცხოეთში მცხოვრები წარმატებული ქართველები საქართველოში მოიწვია, მუშაობისთვის საუკეთესო პირობებს შეგიქმნითო.

- ბაკულევის ინსტიტუტი მსოფლიოში ყველაზე დიდია. წელიწადში ცხრაათასოპერაციას ვაკეთებთ. 1985 წელს ბურაკოვსკიმ შექმნა პროგრამა გულის ქირურგიის განვითარებისთვის. თბილისში დავიწყეთ ოპერაციების გაკეთება. შევარდნაძემ შეხვედრაზე მკითხა, საქართველოში ჩამოსვლას როდის აპირებთო. ძალიან შემრცხვა. ახალგაზრდა კაცი ვიყავი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და ყველა პრემიის ლაურეატი... არ ვაპირებდი ჩამოსვლას და შევარდნაძეს ვუპასუხე, მე მოსკოველი ვარ, ჩემი ოჯახის წევრებიც მოსკოველები არიან და როგორ მოვიქცეთ-მეთქი.

მითხრა, მოსკოვში უფრო მეტს აკეთებთ, ვიდრე აქ ჩამოსვლით გააკეთებდითო. გავიხედე და ერთ თვეში თვითონ არ წამოვიდა მოსკოვში? წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, მაშინ რომ დავბრუნებულიყავი თბილისში, არავითარი დახმარება არ მექნებოდა და ვერ ვიმუშავებდი. უკვე ასაკოვანი ვარ, ამხელა სამეცნიერო ცენტრს ვხელმძღვანელობ და სისულელე იქნება ამ ყველაფრის მიტოვება. ვიცი, არიან თბილისში

ახალგაზრდები, რომლებიც ძალიან კარგად მუშაობენ და მათი იმედი მაქვს. ჩვენთანაც ძალიან ბევრი ქართველი მუშაობს.

- ამის თაობაზე ითქვა კიდევ, ლეო ბოკერია ქართველები შემოიკრიბა თავის ინსტიტუტშიო.

- ყველა, ვისაც უნდა ჩვენს ინსტიტუტში მუშაობა, მოვიდეს და თუ ივარგებს, იმუშაოს. მართლა ბევრია ქართველი, მაგრამ ბევრია ყაზახეთიდან, უკრაინიდან, ყირგიზეთიდანაც... ჩვენს ინსტიტუტში რომ შემოხვიდეთ, იფიქრებთ, რომ ისევ საბჭოთა ეპოქაა.

- თქვენი ყველაზე დიდი სურვილი...

- მაქვს ძალიან დიდი გეგმები და მინდა ხორცი შევასხა, ჯერჯერობით კი მთელი ჩემი ფიქრები ოჯახს უკავშირდება.

ჩემი დიდი სურვილია, საქართველო გამთლიანდეს. ეს ბატონ პრეზიდენტსაც ვუთხარი (აგვისტოს ომამდე), როდესაც ჩვენს ინსტიტუტში სტუმრად იყო. 2008 წლის აგვისტოს ომი კი, ჩემი აზრით, ძალიან დიდი შეცდომა იყო.

- რას ურჩევთ ჩვენს მკითხველს, რომ გულმა არ შეანჯხოს?



- გენეტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ რეჟიმის დაცვაც აუცილებელია. ადამიანი დროულად უნდა დანვეს და ნაკლები ჭამოს. ფრანგები რომ ამბობენ, სუფრიდან ადგომისას ოდნავ მშვიერი უნდა იყო, სწორია. ეს ჯანმრთელობის რეცეპტია. ადამიანი წლების განმავლობაში რომ ერთ წონას ინარჩუნებს, ეს ძალიან სასიკეთოდ მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

„ეს ომი არ უნდა მომხდარიყო“

რუსეთის ექიმთა გაერთიანების "ჯანდაცვის ლიგის" ხელმძღვანელმა ლეო ბოკერიამ 2006 წლის 12 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წინაშე განაცხადა: "მე რუსეთის მოქალაქე ვარ, მაგრამ ამავე დროს ვარ ქართველი. იმას, რომ რუსეთი ჩემს სამშობლოს ბომბავს, ვერ დავეთანხმები და ვერც მხარს დავუჭერ".

ლეო ბოკერიას ამ სიტყვებზე დუმის ეროვნებათაშორის ურთიერთობათა და ეთნოკულტურათა განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელმა ვალერი ტიშოვმა პრესკონფერენცია ჩაატარა და განაცხადა, - ლეო ბოკერია 100%-იანი რუსეთის მოქალაქეა და ამავე დროს 100%-იანი ქართველი, მაგრამ სახელმწიფოს ლოიალურობა ბევრად მაღლა დგას, ვიდრე ეთნიკური წარმომავლობაო.

იზო რიკაძე
„კვირის პალიტრა“



მისი სმე გუესმის მთიდან, მადიდან,
 სცდიდნს უმშუენქმს
 სიცუმც, ნალუღიც...
 სადქატუელთა მისი გვადი და
 სიყვარულია მისი სასკლი.
 ვანთ ცინცადუ

მეა შემოღგომისა

შემოდგომის გაზაფხული, ან კიდევ მართლაც და „მზე შემოდგომისა“, მზე, რომელიც სიცოცხლის ორბიტაზე ფართოდ მოკალათებულა და შემოქმედებითი აღზევების კალათას ესოდენ ძალუმად ათბობს და ანათებს. მზე მუზისა და კალმის, ფილმისა და კადრის, მზისა და მთვარის, სიკეთისა და შარმის და სხვა მრავალი ქათინაურის ტიტულთმპყრობელის — 72 ათეული წლის მიჯნაზე მდგარი ბერმუხის ბატონი გივი სიხარულიძის ფაბულის უცვლელი მეგობარია, მზე, რომელიც მის ორკესტრულ ნიჭიერებას განსაკუთრებულ ეშხსა და ლაზათს ჰმატებს.

თებერვლის მიწურულს, 28 რიცხვში ბატონ გივის 72 წელი უსრულდება. დგას შემოქმედი და მხრებგაშლილი გადასცქერის განვლილ წელთა ნუსხას, დროს, რომელსაც ვერასდროს დააბრუნებს და ვერც ვერასგზით შეცვლის, — ალბათ ყველაფერი ასე უნდა ყოფილიყო უფლისაგან, — „ჩემმა განვლილმა წლებმა შექმნეს ჩემივე პიროვნება, მადლობელი ვარ ღვთისმშობლის, რომლის მფარველობასაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ, მადლობელი ვარ ესოდენ დიდი წყალობისა და მფარველობისათვის“, — ამბობს მწერალი და მსახიობი და ღვთისავე დაწერილი კანონის თანახმად კვლავ ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს შემოქმედებით ცხოვრებას.

დიდი და ლამაზი ოჯახი, მწერლობა თუ კინო კარიერა, ჟურნალისტიკა თუ მისი პირდაპირი პროფესია — ადამიანობა, 72 წლის გივი სიხარულიძის ცხოვრებისეული სამკაულია.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გივი სიხარულიძე ამქვეყნიურ სიცოცხლეს უპირატეს პატივს მიაგებს, მას სიცოცხლე, თავისი ტრაგიზმითა თუ ბედნიერებით, განსაცვიფრებელი ძალით უყვარს. და იგი ადამიანური ბედნიერების ერთადერთ უმთავრეს წყაროდ მიაჩნია. უფრო სწორად, ის აღვსილი და აღტყინებულია სულის თავისუფლებით და ყოველივეს, რაც მის თავისუფლებისკენ თავდავინწყებულ ლტოლვას ზღუდავს — იქნება ეს ფარისევლობის ჭაობში ჩაფლული საზოგადოების მოთხოვნები, თუ მკაცრად განსაზღვრული და დადგენილი ეთიკურ-მორალური კანონის ჩარჩოები, ებრძვის და მათ დამსხვრევას ლამობს. მეტიც, ის შეგნებულად იქცევა გამომწვევად, რათა ამ ყალბი საზოგადოების აღშფოთება და ზიზლი გამოიწვიოს, აი ამგვარად იგი ხაზს უსვამს და წარმოაჩენს თავის სულიერ ამაღლებულებას და დასცინის იმ საზოგადოებას, რომელიც სხვათა დასანახად ისე იქცევა და ცხოვრობს, რომ თავის გარეგნული, მოჩვენებითი წესებით და მორალით ჭეშმარიტად სულიერად ამაღლებულ ადამიანებს თვალში ნაცარს აყრის.

ელიზბარ ჯაპელიძე

ძალიან ძლიერი კალამი გაქვს! შენ რომ არ წერო — სისხლის სამართლის დანაშაული იქნება. შენი სტილი ღრმად ფსიქოლოგიურია, მანერა — ორიგინალური. ეს არ არის ნოველები. არავის გავხარ. ეგ ყველაფერი არის რომანის უძლიერესი ფრაგმენტები, თანაც საოცარი...

ქართლოს კასრაძე

ნილი ნაყარია

რთული, ლაბირინთიანი გზა ცხოვრებასა და ლიტერატურაში. იგი არავის ჰგავდა. თავიდანვე რჩეულად ჩაეფიქრებინა განგებას. მწერლობაშიც ასევე შემოაბიჯა და დამკვიდრდა, დაფუძნდა. თუმცა, ეს, გვიან მოხდა... და მაინც აღესრულა განგებისმიერი ჩანაფიქ-რი; მაშინ, როდესაც სხვა მწერლები სამწერლობო მაგიდას უსხდნენ და შემოქმედებდნენ, გივი სიხარულიძე ცხოვრების ტაბლას უჯდა და მამაუფალის საგანმგებლოს აკვირდებოდა...

თიანუ შავლაძე



გაგიზონიათ გივი სიხარულიძე?!

ეს არის ბუნების ნათავხედარი კაცი არაბული ცხენივით პატარა თავით, განიერი ბეჭებით, ვეებერთელა მუშტებითა და მშვილდით მოზიდული ტანით, რომელიც თოფის წამალივით სულ ასაფეთქებლადაა მზად. ეს არის ღმერთის ნებიერა კაცი, რომელმაც ფეხის წვერებზე მოიარა მსოფლიო - ცეკვით დადის, ლექსით ლაპარაკობს, სიცილით მუშაობს.

ეს არის ჭკუის კოლოფი, რომელმაც იცის რა ვაი-უშველებელი გვჭირს ჭკუისაგან და არ მალავს არც თავის, არც ჩვენს შერეკილობას. ეს არის კაცი, რომელზეც განგებამ თავისი მაღლიანი კალთა დაიბერტყა - ერთის კი არა ათასის ნიჭი მისცა, მაგრამ არა ბედილბალი. ეს არის კაცი-გამოცანა!.. რომელზეც ახლა თვითონ ინება ამოეხსნა თავი და წერამ აიტანა.

გიგო ნიჟინიანიძე

სხვა ჯიგარნი გაქვს, მეელი მძობის
ბოლო სარდალო,
არც მომავალში დაისმება
შენთვის წერტილი...
სახეზე ღიმიით, გულში დარდით
ვის შეგადარო,
შენი სიცოცხლე სულ იქნება თავაწვევტილი.
ვაჟა ოთარაშვილი

„კახი, რომლის არავის არ ჰგავს“



წინამხდარი თებერვალი წუთებს ითვლის, წუხს, რომ არაფრის შეცვლა შეუძლია, ძალაგამოცლილი გაჰყურებს ნისლიან მომავალს და თვალს ჯადოსნური ეტლით მომავალი გაზაფხულის ელვარება სჭრის. ისიც, რომ ბუნების კანონზომიერებას წინ ვერაფერი დაუდგება და უფალს მხოლოდ ერთ რამეს ევედრება:

— თავის გვარ-სახელის უკვდავსაყოფად პირი მზისა და პირი მთვარისა — მზეჭაბუკი დედამინისა მისი მბრძანებლობის ეპოქაში მოველინოს სამყაროს. არადა გიჟმაჟიმარტი პირმშვენიერი ქალი ეთერის მშობიარობის დროს თავის კალენდარზე ითვლის. ღმერთმა აქაც ჩაგრულის მხარე დაიჭირა. თებერვლის ვედრება ისმინა და სწორედ მისი მწუხრის ჟამს, მისსავე უკვდავსაყოფად დედას მზისა და მთვარის სადარი ჭაბუკი აჩუქა, პირმშოს თავისი — ოქროს სირმებითა და მარგალიტების თვლებით მოოჭვილი აკვანი გაუმზადა, თან ოქროსავე ზარდახმაც უბოძა, რომელსაც საუკუნის ნიშა ადევს. ღამღამობით კი მთვარე არ აკლებდა მზრუნველობას. ნებიერას ირგვლივ ანგელოზები დატრიალებდნენ და გამუდმებით მის ბედზე ბჭობდნენ. „მზისა და მთვარის“ ნაჯვარს შესაშური გული და გონება დაანათლა გამჩენმა. სილამაზით ხომ ბადალი არ ჰყავდა. პატარა მერცხალივით ბიჭს ნებიერა დაარქვეს.

ბიჭი თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში იზრდებოდა, ინტელიგენტი მშობლები შესაფერის გარემოს ვერ უქმნიდნენ, ხშირად შიოდა, სწყუროდა, სციოდა, მაგრამ მის სილამაზეს ნირი არასდროს დაუკარგავს, ჭილობს მიღმა ხომ რეალური სახე არასდროს იკარგება.

ცელი იყო, მოუსვენარი. დედამ ეკონომიური სიდუხჭირის მიუხედავად შვილის აკადემიური

აღზრდა მოინდომა, ცეკვაზე ბებიას დაჰყავდა, ხო, ვითომ ბებიას, ნებიერა წინ გარბოდა, მოხუცი ლოცვანარევი წყევლა-კრულვით მისდევდა უკან. დედის რისხვას ხშირად იმსახურებდა, სკოლაში სიარული არ უყვარდა, სწავლისგან თავი შორს ეჭირა, მაგრამ ყურადღება არასდროს არავისგან აკლდა. ბევრი ბავშვური ოცნება ჰქონდა, ხან კამფეტი ენატრებოდა და ხან ველოსიპეტი, მამა გადასახლებული ჰყავდა. დედა და ბებია ნებიერასთვის ცხოვრობდნენ, მაგრამ მეტი საშუალება არ ჰქონდათ.

გავიდა დრო. ნებიერას წლებთან ერთად სილამაზე და იშვიათი აღნაგობა უფრო და უფრო თვალისმომჭრელი ხდებოდა. მზეჭაბუკი მიხვდა, რომ მის განუმეორებელ ეშხსა და სილამაზეს მეტი ინტელექტი დასჭირდებოდა, საკუთარ თავზე მუშაობა დაიწყო. ჭრელი და საინტერესო ცხოვრება განვლო. ქუჩიდან დაიწყო და გზად შემხვედრი ყველა ბარიერი წარმატებით გადალახა. მას შემდეგ, რაც ოთხი ათეული წელი ცხოვრების ტაბლას უფეშქაშა, თავის რჩეულს ღმერთმა კალამი გამოუგზავნა და ყურში ჩასჩურჩულა, ეს არის შენი მეგზური, ეს არის ის, რაც შენს პიროვნებას კვარცხლბეგს უმზადებს. მას შემდეგ კალამი და კინო-ობიექტივი ძერწავს ნებიერას სულიერ მეს და დღეს იგი მსოფლიოს საკუთრებაა. ნებიერა ყველა ენაზე ერთნაირად ჟღერს განსხვავებით მისი შემოქმედებისა, რომელიც არაერთ ენაზე ითარგმნა. მას ხან ადამიანი გამოცანა დაარქვეს, ხან ადამიანი ორკესტრი, ხან კვიცს შეადარეს... ფაქტი კი ერთია, დღეს ნებიერა ცხოვრების ოქროსფერი შემოდგომის კარიბჭის ზღურბლზე დგას, დატვირთული შემოქმედებითი წარმატებებით. ცხოვრების სიმძიმეს მისი წლებისთვის ვერა დაუკლია რა, კვლავ მხრებგამლილი, არწივივით გადაჰყურებს განვლილ 72 ათეულ წელს და ახალგაზრდული შემართებით სჭვრეტს მომავალს, მას წინ კვლავ უამრავი საქმე ელის. უფლის ნებით მზისგან ნაჩუქარი ზარდახმა ხომ საუკუნის შემდეგ უნდა დაილუქოს. მისი სიცოცხლის ნაძვის ხე ავტორს 100 ბურთულის ადგილს უმზადებს.

ღვთისმშობლის კალთაზე მონანავე ნებიერას ბედი საუკუნისთვისაა გამიზნული.

ავტორი უცნობია, გატონ გივის ნოველა ერთ-ერთი შეხვედრაზე გადასცეს.



არქესანძე
ბასილას
ისტორიის ფაქტები

წითისფერიდან მადრიდში გარასული, მაესცრე!

საბედნიეროდ, ბევრჯერ შევხვედრივარ ბუთხუზ ბასილას, ანსამბლის წარმატებისგან გაბადრული რომ მესაუბრებოდა ხან კულისებში, ხან კაბინეტში — დიდი საკონცერტო დარბაზის შენობაში, ხან ინტერვიუსთვის და ზოგჯერ, რა დასამალია, ბილეთებისთვის მისულს; შევხვედრივარ სამეგობრო სუფრასთანაც პურმარილზე, გამომიქვეყნებია მასალები „კომუნისტსა“ „საქართველოს რესპუბლიკაში“. ასე იყო, მაგალითად, მაში, როდესაც იგი თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს 2002 წელს, ასე იყო მისი დაბადების 60 წლისთავზე...

და აი, ახლა სახლში უნდა ვენვიო.

კარს ქალბატონი ლუიზა მიღებს — სევდიანი, ფიქრიანი.

ღია ლოჯიაში ზის ბუთხუზი, აქ შესამჩნევად გრილა, მოვიკითხეთ ერთმანეთი. იქვე, მაგიდასთან ჩამოვჯექი.

გერმანიაში ყოფნაზე არაფერს ვეკითხები.

— ვერ გეძახი „ბუთხუზას“, კაცო, მეუხერხულება...

— არა უშავს, ახლობლებისა და ნაცნობ-მეგობრებისთვის მთელი ცხოვრება ბუთხუზა ვარ... ის კი არა, სახლში ვინმე რომ დამირეკავდა, „ალექსანდრეს სთხოვეთო“, დედაჩემი მამაჩემს ეძახდა, იმასაც ალექსანდრე ერქვა...

— ეტყობა, ჩაბუთხუზებული ბავშვი იყავი.

— არც ისე, ბებიაჩემმა

შემარქვა რატომღაც და შემრჩა და შემრჩა.

— ბებია ახსენეთ... თქვენი ფესვი კოლხეთშია არა?

— დიას, მარტვილში, სალხინოში. მამა ფოთში დაიბადა, მე — თბილისში, თუმცა ბავშვობა და ყმანვილკაცობა ტყიბულში გავატარე. მამა მეშახტე-ინჟინერი იყო და... ერთ წუთს, ახლავე მოვალ...

აქამდე სამზარეულოში მოფუსფუსე ქალბატონი ლუიზა შემოდის და გაფაციცებით, ხმადაბლა მეკითხება:

— რას იტყვით, როგორ გამოიყურება?

— ოდნავ სუსტადაა, მაგრამ, რაც მთავარია, მხნედაა.

— რა ვიცი, იმედი მოგვცეს, თანდათან გამოკეთდებაო.

— აბა, რა იქნება?

ქალბატონი ლუიზა ისევ ფეხაკრებით გადის და





მალე ბუთხუზა შემოდის, ალბომი შემოაქვს.

— აი, იმაშია ჩვენი გზა, ძმაო, სიმამარი აკრავდა შიგ ფოტოებს, რეცენზიას.

ერთ-ერთ გვერდზე გადავშალე. აგერ, რუსი პოეტი იური რიაშენცევი წერს სწორედ ალექსანდრე ბასილიას შესახებ: „რა თქმა უნდა, იგი ბრწყინვალე თვისების მქონეცაა კინოსა და თეატრისათვის — სრულყოფილად ფლობს მუსიკალურ დრამატურგიას“.

— ტყიბულზე საუბრობდით...

— ჰო... ჩემი პირველი და ბოლო სიყვარულის ქალაქი ეგ იყო (მეორე ოთახში მყოფ ქალბატონ ლუიზაზე მანიშნებს). 17-18 წლისანი ვიყავით, სახლიდან რომ გავიპარეთ და ჩუმად მოვანერეთ ხელი. სკოლიდან გვიყვარდა ერთმანეთი. სკოლის შემოქმედებაში მე პიანინოზე ვუკრავდი, ეგ მღეროდა... გადმოვედით თბილისში, ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით კარგა ხანს... „ჩხიკვა ქორნილი“ იქ შეიქმნა. საერთოდ, სიმდიდრე არასდროს გვიძებნია... ასე გვზრდიდნენ მშობლები.

— დედა რა გვარის ქალი იყო?

— ხოშტარიასი, მამამისი, ანუ ბაბუაჩემი ივანე ხოშტარია ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელი იყო. 24 წელში დაუხვრეტიათ, დედაჩემი 4 წლისა ყოფილა მაშინ, მომდევნო ძმა 2 წლის, ხოლო პატარა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნათლული — 6 თვის. არ ნაჰყოლია ბაბუაჩემი ღამით თურქეთში მიმავალ

ქაქუცას. დაგენევიტო და დილით, ცხადია, ვილაცის დასმენით, აიყვანეს... ჰოდა, ბებიაჩემ წვალეებით გაზარდა სამი შვილი.

— მუსიკალური ნიჭი ვისგან გამოგყვით?

— მამაჩემს უყვარდა სიმღერა... ხომ გახსოვთ ცნობილი მუსიკატმცოდნე პავლე ხუჭუა?

— როგორ არა?

— ჰოდა, მეგობრები — მამაჩემი ვიოლინოთი, ხოლო ბატონი პავლე გიტარით, ერთად დადიოდნენ თურმე ალილოზე. პავლე ხუჭუას ინიციატივით გავეყვი მუსიკას, ტყიბულში ვუკრავდი პიანინოზე, მუსიკალური სკოლა არ დამიმთავრებია. კონსერვატორიაში სმენა გამისინჯეს და საქსოფონის განხრით მიმიღეს. სამი რექტორი გამოვიცვალე — ტუსკია, თაქთაქიშვილი, ცინცაძე...

— რათა კაცო?!

— რა ვიცი, გამრიცხეს რამდენჯერმე. თან ვმუშაობდი, ოჯახს ვინახავდი. ასე „გქაჩავ“ მთელი ცხოვრება... ახლა რომ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზია, თუ გახსოვთ, მანდ აგურის შენობა იდგა, იქ რალაც დაწესებულებაში ვმუშაობდი, ისე, სიმბოლური კია, მერე თითქმის მთელი ცხოვრება იმ ადგილას აშენებულ საკონცერტო დარბაზში გავატარე. ვწვალობდი... ქუჩას შევეშვი... შეიცვალა ცხოვრება. არანაყოფის ნიჭი აღმომაჩნდა. „ორერას“, „დიელოს“ ვეხმარებოდი არანაყოფებაში... ოჯახი თავისას

ითხოვდა.

— ანრი როგორ არის? (ვაჟიშვილზე ვეკითხები).

— პარიზშია, ნიჭიერი მხატვრის სახელი აქვს, გამოფენებსაც აწყობს...

ნაზად ეფერება, ეხუტება მეუღლეს.

— ოთხი შვილიშვილი გვყავს, უმცროსს ალექსანდრე ჰქვია. ინტერნეტში ნახეს ბაბუა ნითელი პერანგით და გაუხარდათ, ლურჯი არ ჩაიცვა, ბაბუო, — უთხრეს.

— ოპერაციის წინ მეცვა და ის ახსოვდათ,

— ამატებს ბუთხუზა, თან ლუიზას ანიშნებს, გვაცალეო და განაგრძობს:

— მერე შევიკრიბეთ მე, ჯემალი, ვახო. მოვილაპარაკეთ და დავინყეთ. სიმღერებს არავინ გვინერდა და თავად მოვსინჯე, პირველი სიმღერა — „რა ტკბილია და რამ მწარე ზღაპარი სიყვარულისა“ ლუიზას მივუძღვენი...

— „ზემოთ“ არ ეუცხოვათ მიუზიკლი — სრულიად ახალი სიტყვა ქართულ ესტრადაზე?

— დიდი ამბავი იყო „ჩხიკვთა ქორწილის“ გასინჯვაზე... 1979 წლის 28 დეკემბერს პრემიერაა, 27-ში მოვიდა კულტურის სამინისტროს კომისია. შეჰყურებენ, არავითარი რეაქცია არა აქვთ. მანამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეს არიები ყველას ჰქონდა მოსმენილი, მოწონებულიც... ახლა რაც ხდება? გია ყანჩელმა დაგისტვენთ ხალხიო, აჰყენენ დანარჩენები, ხვალ თქვენი ჩავარდნის დღეაო. არადა, მანამდე აქვთ მოსმენილი, რამ გაუფუჭათ ხასიათი? იქნებ, რეპეტიციები არ მოსწონთ? ამოვიღეთ და მართლაც წავიდა მიუზიკლი „ვაშაზე“. იმ წელიწადს 113 სპექტაკლი გავმართეთ. ეს იყო თანამედროვე მუსიკა, მოსწონდათ ახალგაზრდებს. დიდი როლი ითამაშა ჯემალმა, საერთოდ, მას უყვარს შეჯანჯღარება, ყურებს არ ჩამოყრის ხოლმე...

— მე არ ვიცი, „ივერიის“ პოპულარობის რეკორდს ვინ მოხსნის...

— ჰო, კარგი დრო იყო, წერტილიც დროზე დავსვით.

— წერტილი?

— რა თქმა უნდა, აქტიურ ცხოვრებას შევეშვით... ყველაზე დასანანი ის არის, რომ ამ ჟანრის განვითარების მსურველებს ვერ ვხედავ, რაზე გაინვალონ თავი? მოძალებულია ტელევიზია, ინტერნეტი, რალაც მელოდიას დაიჭერ, „შეაკეთებ“, შეუცვლი სიტყვებს და გახვალ იოლად, ამიტომაც სიტყვებიც ერთმანეთს ჰგავს, არადა, კომპოზიტორი ხომ საკუთარი მელოდია და საკუთარი ხასიათია. 2003 წელს „ჩხიკვთა ქორწილი“ დავდგივთ მოსკოვში, ცირკის არენაზე, მე და ჟენია გინზბურგმა. 300-400 კაციდან 35 ავარჩიეთ. დავპატიჟე კობზონი, ხაზანოვი... წლის საუკეთესო

მუსიკალურ სპექტაკლად აღიარეს მოსკოველებმა.

ასევე გვიერთდება ქალბატონი ლუიზა.

— ბედნიერები ხართ? (ოდნავ იღიმიან).

— იცით, რა თქვა ებრაელმა, როცა ჰკითხეს, რა არის ბედნიერებაო? — რა და სიამოვნებით რომ მიდიხარ სამსახურში და სიამოვნებით რომ ბრუნდები სახლშიო... ახლა აღარ მივდი-მოვდივარ, მაგრამ ხანდახან როიალს მივუჯდები და რალაცებს ვთხზავ, ჩემს უსაყვარლეს ადამიანთან ვარ.

ვხედავ, ცრემლი ერევათ.

— დიდი დრო გავიდა, ოქტომბერში შეუღლების 50 წლისთავი გვაქვს!

წავალ ახლა, მეტს აღარ შეგანუხებთ, თუ რაიმე დამჭირდა, დაგირეკავთ.

— იცოცხლე, ჩემო ვილენ! აბა, შენ იცი, შენებურად!

ვეშვები საირმის გორიდან. ვჯდები ავტობუსში. ჯერჯერობით ჩემს გარდა არავინაა სალონში. ცხელა.

ისევ ჩემს მასპინძელზე ვფიქრობ, ქართული საესტრადო მუსიკის ორ ღვანლმოსილ პიროვნებაზე, ნიადაგ სიყვარული რომ დაატარებთ ამ ქვეყნად.

მერე, ბიჭოს, ლექსის მუზა შეუმჩნევლად ამოდის ავტობუსში, უცებ ვინიშნავ ფურცელზე სტრიქონებს და ტრანსპორტიდან ჩასვლისას ბუთხუზ ბასილიასადმი მიძღვნილი აი, ეს ლექსი-ექსპრომტი მიმაქვს:

ვინ ბილეთი იშოვა და
თქვენს კონცერტებს დაესწრო,
სილაღეს და სიხალისეს
აზიარეთ, მაესტრო!
იმათ შორის მეც ვიყავი
და სხვებს რომ არ აესწრო,
ინტერვიუს კულისებში
კრძალვით გთხოვდით მაესტრო!
და თუ შესძლო „ივერიამ“,
რომ დროისთვის გაესწრო,
დასტურ, თქვენი დიდი ნიჭის
წყალობაა, მაესტრო!

რამდენიმე სათაური მოვსინჯე ნარკვევისთვის, „იცოცხლე მაესტრო!“ დავარქვი, მოენონათ შემკვეთებს — სევდიან განწყობილებას ესადაგებოდა... ვერ უშველა ჩვენმა სურვილმა წერამწერლის განაჩენს — 67 წლის ასაკში წაიყვანა უნიჭიერესი შემოქმედი... რას ვიზამთ, ყოველთა შემმუსვრელი სიკვდილის წინაშე უძლურია კაცთა მოდგმა.

სამოქალაქო კულტურის მაგალიტი



არსებობენ ასეთი ადამიანები. მე მათ სიკეთის ჯარისკაცებს ვეძახი.

ზუგდიდში თუ მოხატულ ნაგვის ურნების ნახვა ერთი ძალიან საინტერესო ბიჭის წყალობით უკვე აღარ უკვირთ. 33 წლის როსტომ ფარანდია ზრუნავს თავისი ქალაქის კეთილმოწყობაზე, სილამაზეზე, საზოგადოებრივ კულტურაზე როსტომმა, მეგობრების



დახმარებით, ქალაქში გააკეთა თაროები, ე.წ. „განჯინა“. ადამიანები იქ ტანსაცმელს და საკვებს ტოვებენ, რაც ქმნის იმის პირობას, რომ ვისაც სცივა გათბეს, ვისაც შია კი – დანაყრდეს. რასაც ეს ადამიანი აკეთებს დიდ ფინანსებს არ მოითხოვს. მთავარია მონდომება და მიზანი. ურჩევნია მოქმედებით გამოხატოს სათქმელი ვიდრე ილაპარაკოს.

კეთილი ჯარისკაცის იდეით ქალაქში, სკვერებში გამოჩნდა წარწერები „ეს შენი ქალაქია“, „შეიყვარე შენი ქალაქი“ „აცადე გალამაზდეს“. როსტომს იმედი

აქვს, რომ მსგავსი მონოდებებით მოქალაქეებს გამოაფხიზლებს.

„საქმის კეთება ადვილია, როცა გულით აკეთებ“.

ის არც ქარის ნისქვილებს ებრძვის და არც უქმად კარგავს დროს. ის სიკეთით აკეთებს საქმეს, სხვებს ამის დასანახად დრო სჭირდებათ.

ამ ქალაქში არიან ადამიანები, რომლებიც როსტომზე ბევრს საუბრობენ. იმასაც ამბობენ, რომ სხვა ურნებისგან განსხვავებით

შეღებულ ნაგვის ურნებთან ნაგავი არასდროს უნახავთ. ესეც შედეგი.

როსტომს უყვარს თავისი ქალაქი და ზრუნავს ისე, როგორც შეუძლია.

დახმარებას უწევს უნარშეზღუდულ ადამიანებსაც, ამისათვის მან, მეგობრებთან ერთად, შექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯი ზუგდიდი“.

მისი მეგობრები ამბობენ, რომ დიდ საქმეს აკეთებს. „როდესაც შეგიძლია ადამიანის სახეზე



თუნდაც წამიერი ღიმილი გამოიწვიო, ეს ბევრს ნიშნავს”.

სიკეთის ჯარისკაცს სჯერა, რომ რასაც აკეთებს შედეგს გამოიღებს და რომ ადამიანები იცვლებიან, მაგრამ უკეთესობისკენ.

როსტომი მაგალითია და არა მხოლოდ ზუგდიდის სინამდვილისთვის. ამ ყველაფერს აკეთებს ადამიანი მაშინ, როდესაც თვითონაც აწუხებს უკურნებელი დაავადება. როგორც ამბობს, დიაგნოზი დაეხმარა გამხდარიყო ადამიანი.

მისთვის დიაგნოზი არაფერს ნიშნავს. შეეცვალა ფიქრები, გახდა უფრო პოზიტიური და დროს უქმად არ ხარჯავს. უყვარს ზღვა, რომელიც მისთვის ჯადოსნურია განსაკუთრებით ღამით. მოდის და ფიქრობს.

როსტომის აზრით, არსებობს 2 არჩევანი — როდესაც აღარ იქნები : 1) იგლოვებენ და შემდგომ

გავიხსენებენ ოჯახის წევრები. 2) მოქალაქე — როსტომ ზარანდია, რომელიც საჭირო საქმეს გააკეთებს, კვალს დატოვებს.

როსტომი იმედის გმირია და ჩემთვის, სიკეთის ჯარისკაცი.


როსტომის ისტორიამ მომცა შთაგონება, რომ ოდნავ უკეთესი ვიყო, ვიდრე ვარ. გავაკეთო მეტი არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემი ქუჩისთვის, სოფლისთვის, ქალაქისთვის და ქვეყნისთვის. თუ კარგად დაფიქრდებით, მიხვდებით, რომ ხშირად ის, რაც უმნიშვნელო გვეგონია რეალურად ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ დღეს თუ მე, შენ და ყველა ერთად ჩვენს პატარა საქმეებს



გავაკეთებთ, წვლილს შევიტანთ საერთო საქმეში. ერთად გავხდეთ ჩვენი ქვეყნის კეთილი ჯარისკაცები!

ნიმო მაზანიშვილი

როსტომ ზარანდია, ახალგაზრდა მეგრელი ბიჭი, განსხვავებული ხედვითა და დღევანდელით. ბიჭი, რომელსაც ექიმებმა უკურნებელი სენის დიაგნოზი დაუსვეს, ვინ იცის რა მოხდებოდა მომავალში, რომ არა მისი მოტივაცია, სწრაფვა და მიზანდასახულობა იმისა, რომ „კვალი ნათელი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“, — „როდესაც მშობლებმა ჩემი დიაგნოზი გაიგეს, მათი სახეები არასდროს დამავინწყდება, მე კი, რომ გავაცნობიერე ეს ყველაფერი, იმის შემდეგ სულ ვიკრიჭები. დიაგნოზი არაფერია, მთავარია რწმენა. არსებობს ორი გზა: მოკვდება კაცი, იგლოვებენ ორმოცი დღე, წელიწადი, ემახსოვრება მშობლებს, მეგობრებს და მეორე, ისეთი ცხოვრებით ვიცხოვრო, საზოგადოებას კეთილი საქმით თავი დავამახსოვრო“, — ამბობს როსტომი, რომელიც ცხოვრების სიყვარულითაა აღტკინებული და ცუდზე არ ფიქრობს. პირიქით,



დიაგნოზის შემდეგ ცხოვრება ვისწავლეო, ამბობს იგი. ატარებს აქციებს ზუგდიდში, იძლევა სამოქალაქო კულტურის უმაღლეს მაგალითს. თანამოქალაქეებს სხვადასხვა მეთოდით წესრიგისკენ მიუთითებს, რომ ეს ყველაფერი მათია, საერთოა, ყველასია და გაფრთხილებას საჭიროებს. ნაგვის ურნების შეღებვა დაინყო. ფიქრობდნენ რომ რეალურად ვერ აზროვნებდა, ისიც კი უთქვამთ, უცხო პლანეტელი ხარო, მაგრამ ბოლო ყამს როსტომს მთელი ქალაქი პატივს სცემს. იგი ყველა გაჭირვებულის დამხმარეა. უყვარს ზღვა, ცურვა არ იცის, მაგრამ სანაპიროზე საძილე ტომრით ხშირად მიდის და თავის ფიქრებთან განმარტოვდება. როსტომ ზარანდია ტელეკომპანია „იმედმა“ წლის გმირად აღიარა.

ნიმო რახვიაშვილი



წიგნიანი საქართველოს ამცნობს

ედუკარ თოლორაიას საჩუქარი „ეტალონი 2016“-ისა და „იმედის გმირების“ ფინალისტებს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი ედიშერ თოლორაია და გამგებლის მოადგილე გიზო სართანია „ეტალონი 2016“ წლის, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამარჯვებულს, რუსიკო ანსიანსა და სატელევიზიო გადაცემა „იმედის გმირები“ –ს ფინალისტს როსტომ ზარანდიას შეხვდნენ და საჩუქრები გადასცეს.



გამგებელმა „ეტალონი 2016“ წლის ფინალისტს, სოფელ ჭკადუაშის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეს რუსიკო ანსიანს წარმატებები უსურვა და საჩუქრად სხვადასხვა სახის წიგნები გადასცა. რუსიკო ანსიანი 2016 წლის მაისში თბილისში გამგებზავრება და ფინალურ თამაშში მიიღებს მონაწილეობას.

გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ „იმედის გმირების“ ფინალისტს როსტომ ზარანდიას საჩუქრად ნოუთბუქი გადასცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მსოფრთხი სოსიულრად დანუსველი ოჯახების შვილები საშობაო კონსერტზე მიიწვია.



მუსიკალური მიუზიკლი „საშობაო ზღაპარი“ მუსიკალურ ცენტრ „ოდისი“-ს აღსაზრდელებმა წარმოდგინეს. ბავშვების განწყობის ამალღებასა და გახალისებაზე კოსტუმირებული ზღაპრის გმირებიც ზრუნადდნენ. სპექტაკლზე პატარა მომღღრღებმა ახალი წლის ღამე ტყის გმირებთან ერთად გააცოცღლეს. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გიზო სართანია დამსწრებს ახალი წელი მიულოცა ერთიან და მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრება უსურვა. „მთავარია ურთიერთ სიყვარული, ყურადღება. მუნიციპალიტეტის

გამგეობა ყოველთვის იქნება თიოთოეული მოქალაქის სიმშვიდის და კეთილღღეობის გარანტი,“ აღნიშნა გიზო სართანია. ბავშვებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ საგანგებოდ მომზადებული საჩუქრები გადაეცათ. შობა-ახალი წელი დამსწრებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა ღამა ქობალიამ მიულოცა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ღვენილოვის პრობლემები მოიხსინა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიზო სართანიაშვილი, ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე მერაბ ქვარაიამ, ქალაქის მერიის სოციალური განყოფილების უფროსმა თამარ სოსელიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ქეთევან ბაკრაძემ და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებმა მერიის თანამშრომლებთან ერთად ზუგდიდის ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობაში მოშიმშილე მოქალაქეები მოინახულეს. ადგილობრივი და დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოისმინეს მოქალაქეების პრობლემები, მათი პროტესტის მიზეზები და მოშიმშილეებს პრობლემების მოგვარება აღუთქვეს. დევნილი მოსახლეობა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შემწეობის თანხების მოხსნას აპროტესტებენ და მის განახლებას ითხოვენ. „პრობლემის მოგვარებაში ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები ერთდროულ და თანმიმდევრულ ღონისძიებებს გავატარებთ“ განუცხადა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გიზო სართანიაშვილმა მოშიმშილე დევნილებს.



ახალი წელი ახალ სახლებში

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ, მხარის გუბერნატორმა ლევან შონიამ, გამგებლის მოადგილე გიზო სართანიაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა დღეს, ბენეფიციარებს კეთილმოწყობილი ახალი საცხოვრებელი სახლები გადასცეს.

ახალაშენებული კეთილმოწყობილი კომფორტული სახლების გასაღებები მუნიციპალიტეტის გამგებელმა: მრავალშვილიანებს, მარტოხელებს, მარჩინალდაკარგულებს, სტიქიის შედეგად დაზარებულებს და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გადასცა. საცხოვრებელი სახლები აღჭურვილია მზის გამათბობელით, მონესრიგებულია სველი წერტილები და დამონტაჟებულია წყალსაქაჩი.

16 ოჯახი ახალ წელს, ახალ საცხოვრებელ სახლში იზივს.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოჯახის მფლობელებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა, ბავშვებთან ერთად ტორტი დაჭრა და 2016 წელს 70-ი ასეთი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა დაანონსა.



რეგიონის გუბერნატორმა სახლების აშენება ყველაზე წარმატებულ პროექტად მოიხსენია და მუნიციპალიტეტის გამგებობას მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ოჯახებისთვის აშენებული სახლები საქართველოს მასშტაბით 10 საუკეთესო პროექტებს შორის გამარჯვებულად დასახელდა. ამასთან, მთავრობა მომავალ წელს, მუნიციპალიტეტის გამგებობასთან ერთად ამ ექსკლუზიური პროექტის ფარგლებში მომავალში უფრო მეტ სახლს ააშენებს.





ქალბატონ მანანას სწრაფვა ქართული სიტყვაკაზმული ენის მიმართ და რითმის ალერსი ჯერ კიდევ ბავშვობიდან მოსდევს. ია-ვარდფენილ ბილიკზე ბედმა ინჟინრობის თამასისკენ უბიძგა, ნატვრა ნატვრად დარჩა, მაგრამ წადილი რის წადილია თუ მიღწევადი არ იქნა? ქალბატონი მანანა მაინც ბავშვური ოცნების დედოფლად იქცა, დაწყებითი კლასის მასწავლებლობაც ითავა და კალამიც მარჯვედ მოირგო. მისი რითმა თეთრ ფურცელზე მარგალიტებად ეფინება და იალაღზე გაფანტულ ფრაზებს ქალური შარმი და ოქროს სირმები ამშვენებს. მისი ლექსი პოეტის სულის სარკეა. ამბობს:

„ჩემი ლექსი უბრალოა ჩემსავით,
სამოსკელით ვერ იწონებს თავს“.

ცხოვრებამ სიჩუმე ასწავლა, თუმცა სათქმელს ლამაზად ამბობს, ფიქრთა ომის თანამონაწილედ ხშირად ყოფილა, პატიებაც იცის და მონანიებაც.

თავმდაბალია, სულგრძელი, პოეტობის შიში აქვს, ამბობს რაღაცებს ვჯღაბნიო, არადა, გოგლა ლეონიძის არ იყოს, სულ მისი სულის მონაწურია, რაც დაეპწკარა ქალაღდს ლექსები. აკი თავადაც ამბობს: „განცდას ფურცელს მივაბარებო!“



• • •
 განაფხუღმა შემოგვიღო კარი,
 და სამთარმაც შეიცვალა მხარი.
 თვალხატულა, კეკლუცი და სხარტი,
 თუმც ბევრს ცდილობს სიფრიფანა მარტი,
 წესებს მაინც ვერ დაღატობს,
 სუსხს გვიგზავნის წვიმასა და ქარში.
 ხანმოკლეა შენი შფოთვა მარტო
 განაფხუღს სურს არ დაგტოვოს მარტო,
 შემოსძახებს აწრელებს და მანისებს
 და ყოველ დღეს ვარდ-ყვავილით აივსებს...
 ხვალ ზირველი აწრილია მარტო,
 მოტყუებაც ადვილია ვატყობ.

მარტი 2015 წ.

• • •
 ცხოვრებამ სიჩუმე მასწავლა,
 სხვას ვუსმენ,
 მხოლოდ შემდგომ
 ვამბობ სათქმელს,
 მოთმენაც მასწავლა ცხოვრებამ,
 გულისმტკენტ
 საზღვარს არ მივაგებ.

ვმუნჯდები სშირად,
 უურს არ ვიბერტე,
 თვალსაც დავიბრძავებ,
 მაგრამ
 ამდენი სიავისგან
 გულ-გონი დამეღალა.

ფიქრები მეომებიან,
 და მერვეიან სშირად,
 ვებრძვი და მაინც მჯობნიან
 მესხმიან ჰაი-ჰარად...
 „ვინც მოუვარესა არ ეძებს“
 ვერავინ გაიხარა!

ვინც მაწეენინებს, - ვპატიობ
 უფრო მეტად გონით,
 გული კი ისე მშფოთვარებს,
 ერთხელაც გასკდეს მგონი.

როგორც ჯანსუღი იტყობდა,
 აღარ გავიტყვებ გულს-
 „ვისაც ვუყვარვარ, მეც მიყვარს,
 და ვისაც ვძულვარ, არ მძულს“.

ამ საანაღწლოდ ერთმანეთს,
 ვუსურვოთ რაც რამ კარგი,
 სიმშვიდე მშვენიერება
 და მეგობრობა ვარგი!

უჯერო სიცოცხლს გვიჯობდეს,
 სულში ვუმხიროთ ერთურთს,
 და თუკი ერთურთს ვჭირდებით,
 ნუ დავანანებთ ერთ წუთს!

• • •
 ჩემი მუხის ადგილო,
 ორღობეო ფართოვ,
 ახლაც გინდა რომ ლექსი
 გამომტყუო, - ვატყობ.
 მაგრამ რა ვქნა, ამ ბოლოს
 მუხა არ მეკარება,
 დმერთო, შემამლებინე
 ლექსთან შეთამაშება.

ორღობეო, ადგილო
 სიმშვიდის და ფიქრთა,
 აქ არ ხდება შეხვედრა
 შეუვარებულ წვეილთა.
 აქ მისვდები, უბრალოდ,
 დრო რა ელვით მიჭქრის,
 აქ გრძნობ უფლის სიანლოვეს,
 თითქოს ხელსაც გიწვდის...

მიუყვები ვიწრო ბილიკს,
ხან გიჭირავს ჯოხიცი,
გიყვარდება შენი მიწის
მტკაველიც და გოჯიც,
ჰაერს ხარბად შეისუნთქავ,
წინ გაჰყურებ ჰორიზონტს,
გრძნობ რომ აქაც სამოთხეა,
გისმენს, - უკვირს მგონი ზოგს.

ბოლოს ნახავ გაშლილ მინდორს,
საქონელთა სამოვარს,
გაშლილია ხარ, ძროხა,
აქ ვერ ნახავ თუძცა ცხვარს.
ცხენი ლაღად დანავარდობს
ოჯახებად, რქებებად,
აქ როცა ხარ ვეველაფერი
გეჩვენება მერვრად.
ღურჯო ცაო, მწვანე ველო,
მინდვრის ბროლის წვეთებო,
საუკუნეს დაამძვენებს
თქვენთან ერთად სამსეო,
ამ კურთხეულ მიწა-წვალსე
რა გამოღვეს სამსერსო,
ახლა, ნება მიბოძეთ...
შეხვედრა მაქვს სამსეო!

2014წ. ოქტომბერი

•••

ჩემი ლექსი უბრალოა ჩემსავით,
სამოსელით ვერ იწონებს თავს,
არც ღირს წერად, საფიქრელად,
მაგრამ რითმა არ მანებებს თავს.

სანამ დავწერ, ვმოუსვენრობ, _
რა გრძნობაა, არც კი ვიცი, რა ვთქვა,
საქმეზე გულს მაურევინებს,
ახრდილივით თან დამეყვება.

დამტრიალებს, არ მანებებს თავს.
ვხვდები რომ...
რომ რაღაც მინდა,
გული იწეებს ღვევასა და ფორიაქს,
კალამს ვიღებ,
განცდას ფურცელს მივაბარებ.
და მთავრდება ვეველაფერი მგონი აქ...
ლექსი კვლავ მოხვას ურადლებას,
მისმობს, მეღის, თავს
მაკითხებს ძალი-ძალი,
ბოლოს თავსაც შემაყვარებს,
შემაყვარებს ძალუძად.

30.03. 2014 წ.

•••

დადიანების შემოგარენს ატყვია მარტი,
კოსტავას ქუჩაც ერთი დიდი გაზაფხულია,
არაფერია ასახსნელი და განსამარტი,
სანამ ქალაქში ცოცხალია გამსახურდია!“
ანი შეღია (მე-12 კლასელი გოგონა)
უჰ, რა ნიჭი დაგაბერტვა
უხვად განგებამ?! _
შენც უბადლოდ რომ ახერხებ
ზუსტ უკუგებას?!
აჰყოლიხარ ღვთის სავალს და
ღვთისავე ნებას,
მხოლოდ შური თუ შებღალავს
შენს გემოვნებას.
ქრუანტელმა დამიარა, შვილო, რა მომდის?!
მეც კი ვჯღაბნი რაღაცებს, მაგრამ
გამომდის?! _
მიდი მიჰყე, არ შეჩერდე, ცად ინავარდე,
იწკრიბლე, იხმატკბილე, ი-ია-ვარდე!
მე ვინ ვარ, რომ შევაფასო?! _
ხარ ფენომენი! _
მინდა გავხდე, სულ უბრალოდ,
მკითხველი შენი!

მარტი 2015



ერთი მომთაბარე ოჯახის საოცარი ამბავი

„საქართველოში დაბრუნებაზე ოცნება არ შეგვიწყვეტია, მაგრამ როდის ავიხდენთ, არ ვიცით. ჯერჯერობით, ხანგრძლივი თუ მცირე დროით, საცხოვრებლად ქვეყნიდან ქვეყანაში დავდივართ.“

არ ვიცი, ეს ბედისწერაა თუ რა, მაგრამ ომი და ხიფათი მუდმივად თან გვდევს...” - გვითხრა ქართველმა ემიგრანტმა. ცანავების ოჯახმა საცხოვრებელი ადგილის ძიებაში დაუსრულებელი მოგზაურობა 90-იანი წლებიდან ანუ აფხაზეთის დატოვების შემდეგ დაიწყო... ამ ოჯახის უცნაურ ბედზე ამჟამად უკრაინაში მცხოვრები, ნინო ცანავეა გვიამბობს.

- მომთაბარეებად ვიქცეით. ამ ყველაფერზე ვხუმრობთ ხოლმე, მაგრამ სანერვიულოც ბევრი გვაქვს. უამრავი გასაჭირი გადავიტანეთ და ახლაც, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ამ დროისთვის ყველაზე „ცხელ“ ქვეყანაში, უკრაინაში ვცხოვრობთ, სადაც ყოველ წუთს ელოდებიან რუსეთის აგრესიას, მათ შემოტევას... სამი და ვიყავით: ორი ტყუპი (უფროსები) და მე. ლვოვის სამედიცინო უნივერსიტეტის ბოლო კურსზე ვსწავლობდი, როდესაც აფხაზეთში სიტუაცია აირია. ჩემი დები მაგისტრატურას გადიოდნენ. ლვოვის სასწავლებლის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, - ქართველი ექიმების კვალიფიციურობის შესახებ საბჭოთა კავშირში ლეგენდები დადიოდა და მაგისტრატურაში ჩასაბარებლად, თბილისზე უკეთეს ადგილს ვერ იპოვიეთ. როდესაც საქართველოში დავბრუნდით, აფხაზეთში საომარი მოქმედებები უკვე დაწყებული იყო და სოხუმში ჩვენი ჩასვლა ყველას გაუკვირდა, - ხალხი აქედან გარბის და თქვენ რა მოგარბენინებდათ?... დედა გველოდებოდა. მამა უკვე ასაკში იყო, მაგრამ მაინც, მეგობრებთან ერთად მოხალისედ წასულა. შემოგვითვალა, - ნუ დამელოდებით, სოხუმში დროებით დატოვეთ. მაშინ ყველას სჯეროდა, რომ მალე ყველაფერი მოგვარდებოდა და სახლებში დავბრუნდებოდით... ქუჩაში რომ გამოვედით, უკვე სროლის ხმა ისმოდა.



ვიდრე ენგურისკენ მიმავალი მანქანა ვიპოვეთ, ტყუპისცალი მძიმედ დაიჭრა. ზუგდიდის საავადმყოფომდე მივიყვანეთ, მაგრამ მისალბებლად გარდაიცვალა... მამამ ამის შესახებ ომის დასრულების შემდეგ შეიტყო. მასაც კონტუზია ჰქონდა მიღებული. ომიდან ფსიქოლოგიურად „დანგრეული“ დაბრუნდა და შვილის სიკვდილმა კიდევ უფრო „მოტეხა“... რამდენიმე თვე ზუგდიდში, ნათესავის დაკეტილ სახლში ვიცხოვრეთ. უშუქობასა და სიცივეში ყოფნა აუტანელი იყო. მოგვიანებით, თბილისიდან კოლეგა მეგობრებმა

შემოგვითვალეს, - ჩამოდი. აქ მამასაც უმკურნალებთ და სამსახურსაც გამოვნინებთო...

- საცხოვრებლად თბილისში ჩამოხვედით, არა?

- ასეა. თბილისში ჩასვლიდან ცოტა ხანში მამა გარდაიცვალა. მე და ჩემმა დამ მეგობრების დახმარებით, ერთ-ერთ კლინიკაში დავიწყეთ მუშაობა. მე ქირურგი ვარ, ჩემი და კი კარდიოლოგია. მუშაობის პარალელურად, მაგისტრატურაზე ვსწავლობდი. თუმცა, იმ პერიოდში თბილისშიც ომი იყო და სრულფასოვანი განათლების მიღება თითქმის შეუძლებელი გახლდათ... ერთ დღეს სახლში დაბრუნებულეხს, დედა ნაცემი და დასისხლიანებული დაგვხდა. თურმე, ნიღბიანები მისულან და უთქვამთ: თქვენი შვილები ექიმები არიან და სახლში ნარკოტიკი ექნებათო. ვერაფერი რომ ვერ უპოვიათ, ფული და ოქრო მოუთხოვიათ... ამ და სხვა მიზეზების გამო, მივხვდით, რომ თბილისში დიდხანს ვერ დავრჩებოდით და მოსკოვში წასვლაზე დავიწყეთ ფიქრი.

- იქ გყავდათ ვინმე?

- მოსკოვში არა მარტო რუსი, არამედ ქართველი მეგობრებიც გყავდა. სხვათა შორის, მაშინ ჩვენი თაობის ექიმების ნაწილმა საქართველო დატოვე, რადგან მაშინდელ სიტუაციას ვერ გაუძლეს. რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როცა ექიმს შეიარაღებული ადამიანები პირდაპირ საოპერაციოში შეუცვივნენ, ნარკოტიკი მოგვეცითო. ჰოდა, ასეთ

პირობებში მუშაობა ძნელი კი არა, შეუძლებელი იყო. რადგან ოჯახში მამაკაცი არ გვყავდა, კრიმინალების სამიზნე ჩვენც მუდმივად ვხდებოდით... ერთი სიტყვით, მეგობრის ბინა, სადაც სამადლოდ ვცხოვრობდით, პატრონს ჩავაბარეთ და მოსკოვში გავემგზავრეთ. საქართველოდან ნასვლა ყველაზე მეტად დედამ განიცადა. მას ქალიშვილისა და მეუღლის საფლავების დატოვება უჭირდა. მთელი გზა ჩუმად იყო. მეგონა, დარდისგან მოკვდებოდა... მოსკოველმა მეგობრებმა სკლიფასკოვსკის სახელობის სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების ცენტრში დაგვანყებინეს მუშაობა. სამსახურიდან ისე შორს ვცხოვრობდით, რომ მუდმივად ვაგვიანებდით. დილას 6 საათზე ვდგებოდით, რათა 9-ზე სამსახურში ვყოფილიყავით... შემდეგ ერთმა მარტოხელა პოლონელმა მოხუცმა, რომელიც II მსოფლიო ომის ვეტერანის ქვრივი იყო, გვთხოვა: დიდი ბინა მაქვს, მარტო ვცხოვრობ და ჩემთან გადმოდიეთ.

- ეტყობა, მუდმივი სამედიცინო დახმარება სჭირდებოდა, არა?

- მხოლოდ სამედიცინო დახმარება კი არა, მომვლელი და დამლაპარაკებელიც უნდოდა. დედა კარგი მოსაუბრეც არის და სამედიცინო განათლებაც აქვს... რაღაც პერიოდის შემდეგ ჩემი და იქაურ ქართველზე გათხოვდა და ვაჟი შეეძინა.

- თქვენს პოლონელ დიასახლისს შვილები არ ჰყავდა?

- კი, ერთი ბიჭი ჰყავდა, რომელიც ამერიკელზე იყო დაქორწინებული, რის გამოც, დედამ ვაჟი არ მიიღო... ქალბატონმა მარიემ, იმ პირობით, რომ სიკვდილამდე მოვუვლიდით, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ბინის ნახევარი ჩვენი იქნებოდა, მეორე ნახევარი მისი ვაჟის, ჩვენთან ოფიციალური, ნოტარიულად დამონმებული შეთანხმება გააფორმა. რუს პაციენტებს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვთ, - თუ თბილად დაელაპარაკები და გულისხმიერად მოუსმენ, მხოლოდ ექიმი კი არა, მათთვის ღმერთზე ნაკლები და ადამიანზე მეტი ხარ... ერთი სიტყვით, თავდაუზოგავი შრომის შემდეგად, მე და ჩემი და დაგვანინაურეს, მაგრამ მოსკოვში ცხოვრება მაინც ძალიან გვიჭირდა.

- რატომ?

- როგორც კი გაიგებდნენ, რომ ქართველები ვიყავით, ჩვენ მიმართ მაშინვე აგრესიულები ხდებოდნენ, - ლამის მთელი საქართველო აქ ჩამოვიდა სამუშაოდ, არადა, ჩვენთან თანაცხოვრება არ გინდათო. ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ საშუალო დონის მოსახლეობას კი არა, უმეტესობას ჰქონდა... 2000 წლის დეკემბერში, ჩემი და და დისშვილი ქუჩაში, ვიღაც კაცს უგონო მდგომარეობაში უპოვია. ისინი სასწრაფოდ, საავადმყოფოში გადაიყვანეს. გონზე მოსვლის შემდეგ, ჩემმა დამ გვიამბო: ბავშვი სკოლიდან ლოგოპედთან მიმყავდა, როდესაც სკინჰედეები დაგვხვდნენო. მას სცემეს, 6 წლის ბავშვს კი მუცელში

"სპიცი" გაუყარეს. საბედნიეროდ, ნანლავებს შუა გაუარა და სიკვდილს გადარჩა. ამბობდა, სახეში გამეტებით მირტყამდნენ და თან, მიყვიროდნენ, - თქვენს ქვეყანაში წაეთრიეთო!.. ამ შემთხვევის შემდეგ, ჩემმა დამ მარჯვენა თვალში მხედველობა და სმენაც დაკარგა... მოსკოვში ცხოვრების გაგრძელება არ ღირდა. ამერიკაში "სივები" გავგზავნეთ და დახმარება პოლონელი დიასახლისის შვილსაც ვთხოვეთ... ერთ თვის შემდეგ, ორივეს მოგვივიდა მონვევა. დედამ რუსეთიდან ნასვლაზე სასტიკი უარი განაცხადა, რადგან პოლონელ მარიეს ვერ ელეოდა. გვითხრა: თქვენ სამსახურში იქნებით, მე კი მთელი დღე მარტოობა გამაგიჟებსო. თუმცა, მაინც დავითანხმეთ.

- ნაჩუქარ ბინაზე უარი თქვით?

- ნაჩუქრობის ხელშეკრულება გავაუქმეთ და საცხოვრებელი პოლონელს დავუბრუნეთ. მარიე ცოტა ხანში, როგორც თვითონ თქვა, ჩვენი ხათრით, შვილს შეურიგდა და ამერიკაში ჩამოვიდა... ამჯერად ნიუ-იორკში, კიდევ ერთხელ დავინწყეთ ცხოვრება თავიდან. ალბერტ აინშტაინის სამედიცინო კოლეჯში მოსაწყობად ხანგრძლივი მუშაობა დაგვჭირდა. მე და ჩემი და არა მარტივია, არამედ სამედიცინო აპარატურასთან მუშაობას ვსწავლობდით. ეს იყო ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი. კიდევ კარგი, მოსკოვში ცხოვრების დროს, ჩემი პატარა დისშვილი ინგლისურში რეპეტიტორთან ემზადებოდა, თორემ ქუჩაში ველარ გამოვიდოდით... ერთი ურთულესი წლის შემდეგ, კლინიკის ხელმძღვანელობამ შტატში აგვიყვანა. თავდაპირველად, მხოლოდ მისაღებ განყოფილებაში. შემდეგ ნიუ-იორკის, სლოტ კეტერინგის კიბოს მემორიალურ ცენტრში, მთავარ ლაბორატორიაში განვაგრძეთ მუშაობა... ეს მოსაყოლად იოლია, მაგრამ არაადამიანურ შრომასთან იყო დაკავშირებული. რამდენიმე თვე ბუნდოვად მახსოვს. არ ვიცი, როდის გვეძინა ან როდის ვჭამდით; მხოლოდ გზაში, ტრანსპორტში ვახერხებდით თვალების დახუჭვას. დისშვილს დედაჩემი ზრდიდა. რამდენიმე კვირა ისე გადიოდა, ვერც კი ვნახულობდით... მძიმე დღის რეჟიმის გამო, უამრავჯერ დაგვჭირდა ფსიქორეაბილიტაცია. ეს იყო გიჟურ რიტმზე აწყობილი ცხოვრება, რომელმაც უდიდესი გამოცდილება მოგვცა, - მე ქირურგიულ განყოფილებაში გადავედი, ჩემი და კი - კარდიოლოგიურში გაამწესეს. ორი წლის შემდეგ, ჩვენი განყოფილების უფროსმა - კრის დენისმა მითხრა: გამძლეობით მართონელს გამსგავსებთ. ახლა ვხვდები, რატომ აქვთ პაციენტებს თქვენ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებაო. ეს სიტყვები ჩემთვის ყველა სიგელსა და სამადლოებელ ნერილზე ძვირფასი იყო, რაც კი ცენტრში 3-წლიანი მუშაობის განმავლობაში მიმიღია.

- თქვენი სიძე რას საქმიანობდა?

- ის პროფესიით სამხედრო ექიმი. თურქეთში,



გიულჰანეს სამხედრო სამდევინო აკადემიაში სწავლისა და მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, რაც ერთგვარი სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა მისთვის: ინგლისური ენაც იცოდა და ერთ-ერთ ამერიკულ სამხედრო ორგანიზაციასთან გააფორმა კონტრაქტი. ჩვენგან განსხვავებით, თავის დასამკვიდრებლად მას ნაკლები წვალევა დასჭირდა... მაშინ, როდესაც ყველაფერი აგვენყო, 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუ-იორკში "ტყუპების" აფეთქებამ, ამერიკა და მთელი მსოფლიო შეძრა... შოკში ჩავცვივდით. აფეთქების შედეგად გაჩენილმა მტვერმა და ფერფლმა ერთიანად გადაათეთრა იქაურობა. დღე და ღამე გასწორებული გვექონდა: ხან საველე პირობებში ვმუშაობდით, ხანაც - კლინიკაში. მახსოვს პატარა გოგონა, რომელსაც მშობლები აფეთქების შედეგად დაეღუპა. სკოლიდან გამოსული, დედ-მამასთან მიდიოდა და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა. მთელი კვირა ხმა არ ამოუღია. აფეთქების შედეგად გაჩენილმა მტვერმა მას სასუნთქი გზები გაუჭედა. ის პოლიციამ გონებადაკარგული იპოვა. რამდენიმე დღე სიკვდილს ებრძოდა და ისეთ შოკში იყო, ტირილსაც ვერ ახერხებდა.

- გადარჩა?


- დიახ, გადარჩა და ბავშვთა დაცვის ორგანიზაციამ წაიყვანა... ჩემი თანამშრომლები პანიკაში იყვნენ. არასტაბილურობის განცდა იმდენად ძლიერი იყო, რომ მხოლოდ ჩვენს განყოფილებაში, 20-ზე მეტმა ექიმმა დატოვა სამსახური და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადავიდა. მივხვდით, რომ "დაცული ამერიკა" არცთუ ისე დაცული ყოფილა... ადგილობრივები მუდმივად საუბრობდნენ მოსალოდნელი ტერაქტების საფრთხეებზე. ერთი სიტყვით, დიდი საოჯახო განხილვის შემდეგ, დროებით, ბრიტანეთში გადავწყვიტეთ წასვლა. ჩემი სიძე ვერ წამოვიდა, რადგან კონტრაქტის განყვეტის შემთხვევაში, ფულადი ჯარიმა ეკისრებოდა... შეიძლება ითქვას, რომ უცხო ქვეყანაში ცხოვრების თავიდან დაწყების იმუნტიტეტი უკვე გვექონდა, მაგრამ ლონდონში კიდევ უფრო მეტად გაგვიჭირდა თავის გატანა, მით უმეტეს, რომ იქ ჩვენს ჩასვლას ეკონომიკური კრიზისის წინა პერიოდი დაემთხვა და ახალ მუშახელს ამრეზით უყურებდნენ... ერთი სიტყვით, 2005 წელს ისევ რუსეთში დაბრუნება გადავწყვიტეთ. მოსკოვში იმავე კლინიკაში დავბრუნდით, საიდანაც წამოვედით.

ამერიკაში კვალიფიკაცია ამაღლებული ექიმები დიდი პატივით მიგვიღეს... ამჯერად სკინჰედების სამიზნე მე გავხდი: მანქანაში ვჯდებოდი, როცა რამდენიმე ადამიანი დამესხა თავს. რკინის ჯოხებით მანქანაც დამილენეს და თავ-პირიც... მომდევნო დღეებში ჩემი ბედი 50-მდე ქართველმა, აზერბაიჯანელმა და სომეხმა გაიზიარა... ისედაც არ გვინდოდა ერთადერთი შვილის გარუსება და საქართველოში დასაბრუნებლად მიზეზიც გვექონდა. 2007 წელს თბილისში ჩამოვედი, ბინა შევიძინე და დედა და დისშვილი ჩამოვიყვანე. 2008 წლის ივლისის ბოლოს ის-ის იყო, ერთ-ერთ კლინიკასთან ხელშეკრულების გაფორმებას ვაპირებდით, რომ აგვისტოში ომი დაიწყო... მე და ჩემი ოჯახის წევრები გაოგნებული ვისხედით სახლში და ერთმანეთს შევცქეროდით; ვამბობდით: რა დავაშავეთ ასეთი, რომ მთელი ცხოვრება ომი თან დაგვეყვებო?! ამერიკიდან სიძემ დაგვირეკა: ჩემი მეგობარი კიევში კერძო კლინიკას ხსნის და იქნებ დაინტერესდეთო...

- ამჯერად გეზი უკრაინისკენ აიღეთ, არა?

- დიახ, კიევში გადავფრინდით. მე და დედა კიევში დავრჩით, ჩემი და და სიძე კი ამჯერად, უკრაინაში განაგრძობდნენ "მოგზაურობას". ჩემს დას, ნერვიულობის გამო, დიაბეტი დაემართა. თან, როგორც გითხარით, სკინჰედებთან "შეტაკების" შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა ისედაც გაუარესებული ჰქონდა. მას ცალ თვალში პროთეზი აქვს; თავის ტკივილებიც დასჩემდა და იძულებული გახდა, სამსახურისთვის თავი დაენებებინა... ჩვენმა მშვიდმა ცხოვრებამ ცოტა ხანს გასტანა, მერე უკრაინაშიც არეულობა დაიწყო. ევროპის მაიდანზე, უკრაინელ მეგობრებთან ერთად ვათენებდა და ვალამებდი. "ჩემოდნებზე ცხოვრებით" იმდენად დავიღალე, რომ სადმე წასვლაზე აღარც ვფიქრობ... ჩემს სიძეს, როგორც სამხედრო ექიმს, ყველა "ცხელ წერტილში" მოუწია ყოფნამ: ყირიმში, ლუგანსკში, სლავიანსკში... ამ რამდენიმე დღის წინ კი ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის მომხდარ შეიარაღებულ შეტაკებაში მოყვა. ოდესაში, პროფკავშირების შენობაში გაჩენილი ხანძრის დროსაც, დაშავებულების გამოყვანისას დამწვრობა მიიღო... ახლა ქალაქში ამბობენ, რომ ყირიმში შეიარაღებული ბოვიკების დაჯგუფება იქმნება, რომლებიც ოდესასა და სხვა ქალაქებში გადანაწილებას აპირებენ. სხვაგან არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ ოდესაში, ლუგანსკსა და კიევში ჩვეულებრივი მოქალაქეები შეიარაღებას იწყებენ, რათა თავიანთი ქალაქები დაიცვან. ვიცნობ რამდენიმე უკრაინელ ქალს, ვინც მოხალისეებად ჩაენერნენ და იარაღის გამოყენებას, დაჭრილისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და სხვა საჭირო საქმეებს სწავლობენ... იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი თავისას გაიტანს და უკრაინაზე სრული კონტროლი ექნება, საქართველოში დავბრუნდებით.

ლალი პაპასპირი



არნოლდ ჩიქობავა

თაბაზ გაგუჩელიძე დიდი ქართველი სწავლული და საზოგადო მოღვაწე

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა განსაკუთრებული მოვლენაა ქართული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. მის სახელთან დაკავშირებული „იბერიულ-კავკასიური თეორია, წმინდა ენათმეცნიერული ღირებულების გარდა, დღემდე განიხილება როგორც კავკასიელი ხალხების ერთ-ერთი დამაკავშირებელი და გამაერთიანებელი ფაქტორი.

ტერმინებში „იბერიულ-კავკასიური ენები“ და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ მკვლევრები დღეს განსხვავებულ მნიშვნელობებს დებენ.

პოლეოკავკასიური (ანუ კავკასიის არაინდოევროპული, არასემიტური და არათურქული) ენების ჯგუფის გენეტიკურ ერთიანობას ჯერ კიდევ ნიკო მარი ამტკიცებდა; შემდგომ ივანე ჯავახიშვილმა უძღვნა ამ თეზისს ვრცელი გამოკვლევა, მაგრამ ეს დებულება ცალკე კონცეფციის სახით და „იბერიულ კავკასიური თეორიის“ სახელწოდებით სწორედ ჩამოყალიბდა.

ამავე დროს, ქართულ საენათმეცნიერო სკოლაში ეს კონცეფცია ემყარება ცალკეული ჩრდილო-კავკასიური ენის აღწერასა და სინქრონულ შესწავლას. ამ სკოლის უდიდეს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ სწორედ ის, რომ შესაძლებელი გახდა შესწავლილიყო პრაქტიკულად ყველა ჩრდილო-კავკასიური ენა და შექმნილიყო ცალკეული ენების აღწერითი გრამატიკები, ენებისა, რომელთა შორის, ამავე დროს, ნათესაური, გენეტიკური კავშირები იქნა პოსტულირებული და ჩრდილო-კავკასიური ენები სამხარეო-კავკასიურ (ქართველურ) ენებთან საერთო „იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში“ იქნა გაერთიანებული.

მეცნიერთა სხვა ჯგუფი „იბერიულ-კავკასიურ ენებს“ განიხილავს როგორც საერთო არეალურ-ტიპოლოგიურ ჯგუფში შემავალ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიურ ენებს, რომელთა შორის

მნიშვნელოვანი ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება ვლინდება, რაც მათ საერთო კულტურულ არეალში ისტორიულ ურთიერთობასა და კავშირებს მოწმობს მრავალი საუკუნის მანძილზე. ორივე ეს თვალსაზრისი „იბერიულ-კავკასიურ ენებს“ შორის არსებულ ხანგრძლივ კულტურულ-ისტორიულ კავშირ—ურთიერთობებს გულისხმობს. ამ მხრივ ეს ენები უმდიდრეს მასალას აწვდის თანამედროვე ენათმეცნიერებას ისტორიულ—გენეტიკური თუ ისტორიულ—ტიპოლოგიური კვლევისათვის. უდიდესი ღვაწლი ამ თეორიული კვლევის საფუძვლების შექმნისა სწორედ არნ. ჩიქობავას ეკუთვნის, იმ სკოლის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის, რომელიც დღეს „ქართველ კავკასიოლოგთა სკოლის“ სახელწოდებით არის მთელ მსოფლიოში ცნობილი.

ისევე როგორც ივ. ჯავახიშვილის მიერ თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება იყო არა მხოლოდ უმაღლესი განათლების კერის აღორძინება საქართველოში, არამედ უმნიშვნელოვანესი ეროვნული აქტი ახალი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის მაღალი მეცნიერულ-კულტურული დონის უზრუნველსაყოფად, ასევე არნ. ჩიქობავას მიერ „იბერიულ-კავკასიური სკოლის შექმნა და მისი წარმატებით ფუნქციონირება არის წინაპირობა დღეს მრავალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტის რეალიზაციისა, იმ უმნიშვნელოვანესი იდეის განხორციელებისა და საბოლოო დამკვიდრებისა, რასაც „მშვიდობიანი კავკასია“ და „კავკასიაში კულტურათა დიალოგი“ ეწოდება: ეს იდეა განიხილება დღეს მსოფლიოში როგორც ერთგვარი ანტითეზა დასავლეთში ფართოდ გავრცელებულ კონცეფციისა „ცივილიზაციათა შეტაკების“ შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. მათ

შორის კავკასიაშიც: სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ, არსებითად, დღეს „იბერიულ—კავკასიური თეორიის“ საზოგადოებრივ—პოლიტიკურ და მეცნიერულ—პოლიტიკურ მნიშვნელობას.

არსებობს ენათმეცნიერების კიდევ ერთ დარგი— შედარებით — ისტორიული ენათმეცნიერება, რომლის ჩვენს ქვეყანაში აღორძინებასა და დამკვიდრებაში არნ. ჩიქობავამ გადამწყვეტი როლი შეასრულა. ეს მოხდა ნიკო მარისეული „ენის შესახებ ახალი მოძღვრების“ წინააღმდეგ გალაშქრების შედეგად.

ნიკო მარი განსაკუთრებული მოვლენა იყო მეცნიერებაში საზოგადოდ და კერძოდ, კავკასიოლოგიაში; ეს იყო სრულიად განსხვავებული „განზომილება“ მეცნიერებისათვის დამახასიათებელ რაციონალისტურ ფარგლებს და შემოქმედს ახალი, ინტუიციურ დონეზე დამყარებული მეცნიერული „პარადიგმა“ (ამ ტერმინის თომას კინისეული გაგებით).

მე მქონდა შემთხვევა სპეციალურად განმეხილა მარისეული „იაფეტური თეორიის“ ოთხელემენტური ანალიზი სხვა ოთხელემენტოვან საინფორმაციო სისტემებთან კავშირში და აღმენიშნა, რომ ნიკო მარის „ოთხელემენტოვანი სისტემა“, ამისდა მიუხედავად, ღრმა შინაარსის მატარებელია ზოგადთეორიული და ზოგადფსიქოლოგიური თვალსაზრისით, როგორც კიდევ ერთი ცდა მეცნიერების ისტორიაში სინამდვილის აღწერისა „ოთხელემენტოვანი“ სიმბოლური საინფორმაციო სისტემის საშუალებით, რომელიც, თავის მხრივ, როგორც გაირკვა, საფუძვლად უდევს „გენეტიკური კოდის“ სტრუქტურას (მამასადამე, ყოველივე „ცოცხალს“) და რომლის ცოდნა, როგორც ჩანს, ადამიანში ქვეცნობიერად არის მოცემული.

ამაში ვხედავ მე ნიკო მარის გენიალურ ინტუიციასა და განჭვრეტის უნარს, მიუხედავად იმისა, რომ მან ამით იმდროინდელი შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერება, რომელსაც დასავლეთში უკვე კლასიკური შედეგები ჰქონდა მოპოვებული სხვადასხვა ჯგუფის — და განსაკუთრებით ინდოევროპული ენების — ისტორიული შესწავლის დარგში. ფაქტობრივად ჩიქობავამ მოაქცია და ჩაახშო კიდევაც გარკვეული „იდეოლოგიური“ არგუმენტების მოშველიებით.

არნ. ჩიქობავას უდიდეს დამსახურებად ენათმეცნიერების ისტორიაში უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი თავიდანვე წინ აღუდგა მარისეულ „ახალ მოძღვრებას“ და თვით იოსებ სტალინის მეცნიერულ პოლემიკაში ჩართვით შედარებით—ისტორიული ენათმეცნიერება მთელი იმდროინდელი „კავშირის“

მასშტაბით ნორმალური, მთელ მსოფლიოში აღიარებული გზით წარიმართა.

მხოლოდ XX ს. 50-იანი წლებიდან, ენათმეცნიერების საკითხებზე ცნობილი დისკუსიის შემდეგ, დაიწყო ჩვენში შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებას.

დღეს საქართველოში შედარებით—ისტორიული ენათმეცნიერება უკვე უმაღლეს დონეზეა აყვანილი და გარკვეულ დარგებში თვით განსაზღვრავს ამა თუ იმ დისციპლინის განვითარების დონეს მსოფლიო მასშტაბებით.

ყოველივე ამის საწყისი არნ. ჩიქობავას მეცნიერულ მოღვაწეობასა და საქმიანობაში უნდა ვეძიოთ, ამით განისაზღვრება სწორედ არნ. ჩიქობავას ისტორიული როლი და წვლილი, რომელიც მან მსოფლიო ენათმეცნიერების განვითარებაში შეიტანა.

მაგრამ ეს სრულებით არ აკნინებს ნიკო მარს როგორც დიდ ქართველ მეცნიერ—ფილოლოგსა და მოაზროვნეს.

თუ ჩვენ არნოდ ჩიქობავას განვიხილავთ როგორც შედარებით—ისტორიული ენათმეცნიერების ამდროინდელს ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, პირველ რიგში—რუსეთსა და საქართველოში და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ შემქმნელს, ხოლო ივანე ჯავახიშვილს — როგორც საზოგადოდ ახალი ქართული მეცნიერების ფუძემდებელსა და სულისჩამდგმელს. ნიკო მარი უნდა დავაყენოთ ამ დიდ ქართველ მეცნიერთა სათავეში, როგორც იმდროინდელ რუსეთში მოღვაწე დიდი ქართველი მეცნიერ—ფილოლოგოსი, რომელშიც სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტისა და რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიაში საფუძველი ჩაუყარა XX საუკუნის დამდეგს ქართულ—კავკასიურ კვლევა—ძიებას, დასაბამი მისცა იმ დროისათვის მოწინავე ქართულ—კავკასიურ ფილოლოგიურ და ისტორიულ მეცნიერებას და შექმნა ბრწყინვალე კავკასიოლოგიური სკოლა, სადაც მრავალი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი აღზარდა.

სწორედ ამას მოჰყვა შემდგომ ჩვენს ქვეყანაში ხსენებული დარგებისა და მათთან დაკავშირებული დისციპლინების განსაკუთრებული აღმავლობა და განვითარება; სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა უფრო გვიან ნიკო მარის უპირველესი მოწაფის — დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ ქართული უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, ქართველ მეცნიერთა ბრწყინვალე პლეადა, რომელთა შორის აკადემიკოსი არნოდ ჩიქობავა ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენიულ და თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებს.

მეგრული ფოლკლორის საქართველოში მდებრივი ელენიშვილის თქანები

„ათი წლისა ვიყავი, როცა ბათუმში ბავშვთა ნაკრებ გუნდში სიმღერა დავიწყე; ახლაც გუშინდელ დღესავით მახსოვს ის პირველი წარმატება, რომელიც ამ პატარა ანსამბლში მოვიპოვე და მაყურებელს, მათ შორის — ჩვენი სათაყვანებელი მგოსნის, აკაკის, მხურვალე ტაში რომ დავიმსახურე“ — იგონებდა ხანდაზმული მომღერალი.

მაღე ოჯახი მშობლიურ ხობში გადასახლდა; აქ თავის უფროს ძმასთან, ერმილესთან, ერთად მცირერიცხოვანი ანსამბლი ჩამოაყალიბა და სოფლებში კონცერტები გამართა; თავის საქმიანობას ძუკუ ლოლუას მუშაობის მიხედვით წარმართავდა ხოლმე. მრავალჯერ მოისმინა მასწავლებლის მიერ გამართული კონცერტები... ამ მიზნით იგი ხშირად მიემგზავრებოდა სოხუმში და იქ ხანგრძლივად რჩებოდა, რომ ძუკუსაგან სიმღერები ესწავლა და საგუნდო ხელოვნებას დაუფლებოდა.

„სიმღერებს თვალისჩინივით მოუარე, არ გააყალბო, იმღერე ისე, როგორც თვით ხალხი მღერის“, — ეუბნებოდა მას დიდი მასწავლებელი. ამასვე ურჩევდნენ მასზე უფრო ახალგაზრდები რემა შელეგია, კინი გეგეჭკორი, პროფილე გაბელია, ბეჟან და ვლადიმერ ნაჭყებიები, რომლებთანაც ანდრი დროდადრო მღეროდა.

იგი ხშირად მიმართავდა რჩევა-დარიგებისათვის ლოტბარ კირილე პაჭკორიას, ხოლო კომპოზიტორ გრიგოლ კოკელაძეს მრავალი მეგრული ლირიკული სიმღერა ჩაანერინა.

ანდრიამ თავისი შინაგანი კულტურით, ტაქტიით ხალხის სიმპათია მოიპოვა; პატივს სცემდნენ მის უანგარო მოღვაწეობას. ძირითადად ხობის

რაიონულ ეთნოგრაფიულ გუნდში მღეროდა და თუ კონცერტებზე, დათვალეერებებსა და ოლიმპიადებზე გუნდს წარმატება ჰქონია, ამაში მნიშვნელოვანი წვლილი სოლისტ-მომღერალს ანდრი ალასანიასაც მიუძღვოდა.

იგი წლების განმავლობაში ხეთის, ხორგის, ქვალონის, ბიისა და სხვა სოფლების საკლუბო გუნდების ხელმძღვანელი იყო. ჩონგურზე დამღერებული და ხალხური ჰანგი ატყვევებდა მსმენელებს. შესანიშნავმა მეჩონგურემ და შემსრულებელმა ამ საქმის მრავალი გამგრძელებელი შესძინა ხალხურ შემოქმედებას; ალექსანდრე ბერაიამ, რადიკო ალანიამ, ვაჟა აბაკელიამ და სხვა მონაფეებმა მოლოდინი გაუმართლეს და სათანადო წვლილი შეიტანეს ხალხური ხელოვნების წინსვლის საქმეში.

შვიდივე შვილი დედის, ცაცუს მსგავსად ჩონგურის კარგი დამკვრელები იყვნენ. მშობლებმა შვიდივე შვილს სიმღერა ასწავლეს; ისინი ხობის რაიონის მომღერალთა გუნდში მონაწილეობდნენ. მათ შორის ყველაზე უფრო ვლადიმერი გამოირჩეოდა.

ხობის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სიმღერის მასწავლებლობა დაიწყო. თვრამეტი წლის ჭაბუკი კარგად უძღვებოდა ჯერ ხობის, ხოლო შემდეგ შუა ქვალონისა და პირველი მაისის სკოლების მონაფეთა გუნდებს; ხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მან სამაგალითო გუნდი ჩამოაყალიბა და მრავალი კონცერტი გამართა. კოლმეურნეები ნასიამოვნები რჩებოდნენ ხეთელი მონაფეების კონცერტებით. სამამულო ომის წინ, ოთხი წლის განმავლობაში, ფოთის ნავსადგურის კლუბთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს უხელმძღვანელა.

1939 წელს წარმატებით გაიარა თბილისში ხალხური შემოქმედების სახლის მიერ მოწყობილი საგუნდო-სადიტიურო კურსები. ამან კიდევ უფრო გააღრმავა მისი სასიმღერო შესაძლებლობანი. 1942-1961 წლებში იგი ალექსანდრე ბერაიასთან ერთად ხობის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს უძღვებოდა. ამ ანსამბლმა მრავალ დათვალიერებასა და ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა და კარგი შედეგებიც მოიპოვა. ახალგაზრდა ლოტბარები, ვლადიმერ ალანია და ალექსანდრე ბერაია, ღირსეულად განაგრძობდნენ პროფილე გაბელიას და რემა შელეგიას საგუნდო ტრადიციებს ხობის რაიონში.

ვლადიმერ ალანიას მიერ ჩონგურზე ოსტატურად შესრულებული სხვადასხვა ხალხური მელოდები 1961 წელს ფირზე იქნა ჩანერილი; ამ მელოდებს ხშირად გადმოსცემენ საქართველოს რადიოთი.

საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების მეცხრე რესპუბლიკური ოლიმპიადაზე ხობის რაიონული კულტსახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა თავი ისახელა. ანსამბლს დამ ის ხელმძღვანელს ვლადიმერ ალანიას მეორე ხარისხის დიპლომა მიენიჭათ.

სკოლებში საგუნდო საქმის კარგი გაძლიერებისათვის მიღებული ჰქონდა სიგელები და ფულადი ჯილდოები. მისი ნაყოფიერი მუშაობის შედეგები გამოვლინდა თვითშემოქმედების ოლიმპიადაზე ხობელი მოსწავლეების გამოსვლის დროს.

ფირზეა ჩანერილი ვლადიმერ ალანიას მიერ შესრულებული სიმღერები: „მინდვრის დედოფალი“, „საკოლმეურნეო სიმღერა“, „მეჩაიეთა სიმღერა“, „სიმღერა ციტრუსებზე“ და სხვა.

ბედიის ბარძიმის დაკარგული ნაწილი



ქართული ოქრომჭედლობისა და ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ნიმუშმა - ბედიის ოქროს ბარძიმმა (999 წ.) ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია. დღეს სახეზეა მისი მხოლოდ ზედა ნაწილი.

ბარძიმი იმ საგანძურის ნაწილია, რომელიც გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს, ბაგრატ მესამეს ბედიის ვლადიკონის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისთვის შეუწირავს. ბედიის ტაძარი აფხაზეთში სწორედ მისი ბრძანებით აშენდა. ისტორიული ცნობების თანახმად, ბედიის კომპლექსი X საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 999 წელს ბაგრატ მესამეს მოუხატვინებია, შეუწირავს ხატები, ჯვრები. ბედიის ბარძიმის შემწირველი კი, მეფესთან ერთად დედამისი, დედოფალი გურანდუხტიც ყოფილა.

ბედიის ბარძიმი პირველად 1865 წელს ნახა დიმიტრი ბაქრაძემ ილორის ტაძარში და გამოაქვეყნა მასზე განთავსებული გვიანდელი ხანის წარწერა. თუმცა მეცნიერს არ გამოუქვეყნებია ბარძიმის ფეხის აღწერილობა. არ არსებობს მისი ფოტოგამოსახულება ან რაიმე სახის დამატებითი ინფორმაცია. ბარძიმის ფეხი ადრევე გამოცხადდა დაკარგულად.

საყურადღებოა, რომ დღემდე არ არსებობდა ცნობა ტაძრის სამკაულის, ოქროს ბარძიმის სრული აღწერილობის შესახებ.

თუმცა, როგორც ირკვევა, ბარძიმის ფეხი კიდევ კარგა ხანს ინახებოდა აფხაზეთში. გარდა ამისა, ევროპაში „პირველ მოგზაურ ქალად“ ცნობილმა კარლა სერენამ, აფხაზეთში მოგზაურობის შემდეგ ბედიის ბარძიმის დაკარგული ფეხის შესახებ, ფოტოს სახით ძალიან საინტერესო ინფორმაცია დაგვიტოვა.

როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ისტორიკოსმა ბუბა კუდავამ აღნიშნა, კარლა სერენას ფოტოებში აღმოჩენილია სურათი, რომელზეც აღბეჭდილია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსი ხელაიას მამა, მღვდელი ზოსიმე ხელაია ბედიის ბარძიმთან ერთად. ეს გარემოება ბედიის ბარძიმის თავდაპირველი სახით რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

ბედიის ბარძიმი, რომელიც 999 წლით თარიღდება, საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

ეტიმოლოგია და ეტიმოლოგია

მთელ კოლხიდაში მეტად მიღებული არიან ეტიმოლოგია და ხალხს ისე არაფერი ენატრება, როგორც ეტიმოლოგია. ამიტომაც შორეულ ქვეყნებიდან მოდიან აქ და სახლდებიან თურქები, ირანელები, იტალიელები და ფრანგები, რომელთაც ცოტა რამ იციან ამ ხელობისა. როდესაც მეგრელებთან ჩამოდის მკურნალობის წესების თუნდაც მცირე მცოდნე კაცი, მისთვის საკმაოდ მხოლოდ ეტიმოლოგია და წამლის გაკეთების ცოდნა სანახევროდ, რათა ყველასაგან პატივცემული, ქებული და მიღებული იქმნას. სხვებზე უფრო პატივსაცემი იტალიელებსა და ფრანგებს. ამტან რომ ვინმე ჩავა სამეგრელოში, რათა აღარ წავიდეს, ცდილობენ ცოლი შერთონ და ამით დააბან იქ. თან აძლევენ სახლ-კარს, მიწა-ადგილს, მსხვილფეხა საქონლის ჯოგს, ყმებს და მონებს, ყველაფერს ისე უხვად, რომ მოსულის სურვილსაც აღემატება. იქაურები ყველანი მეტად მონადინებულნი არიან შეისწავლონ რაიმე წამალი. ამიტომაც ცდილობენ, რომ ეტიმოლოგია მათ თვალწინ მოამზადოს წამალი. როცა შეისწავლიან წამლის მომზადებას, მაშინვე მთელ ქვეყანას ასწავლიან. უფრო ცნობისმოყვარეებს

მრავალი წამალი აქვთ შესწავლილი და ჩანერილი მათ ენაზე ერთნაირ წიგნში, რომელსაც კარაბადინი ჰქვია. ამ კარაბადინში სწერია სხვადასხვა საცხებლები, აბები და სასმელები. ხოლო, რადგან ყველა მასალა არა აქვთ, კარგად ვერ აკეთებენ ამ წამლებს და ამზადებენ ისე, როგორც შეუძლიათ. თვითვე დიდებულს ოდიში აქვს ერთნაირი ყუთი, რომელშიაც ინახავს სხვადასხვა აბებს, სასმელებს და ვარდის წყალს და ამ წამლებს საჭიროების დროს ხმარობს.

სამეგრელოში არიან ქალები, რომელნიც სიამოვნებით ეტანებიან ავადმყოფთა მოვლას. როგორც კი ვინმე ავად გახდება, რომელიმე ამ ქალთაგანი მაშინვე მივა და დაუნყებს მოვლას: საჭმლის წესრიგს დაუნიშნავს და გაუკეთებს რამდენიმე წამალს. წამლებად, როგორც დასალევად, ისე გარეთ დასადებად, ბლომად ხმარობენ ბალახებს. საჭმლის შესახებ ამ წესს ადგანან: სრულებით ერიდებიან ყველანაირ ხორციულობას და ყველა სხვა საჭმელსა, გარდა ღომისა. ღომს როდონში გასწმენდენ კანისაგან, ძალიან კარგად გარეცხენ და საკმაოდ თხლად მოხარშავენ. მიუერთავენ ცოტაოდენ ქინძს და



ღვინოს რამდენსამე წვეთს. თავის ტკივილის დროს ავადმყოფს შუბლს შეუხვევენ ნარეკალას (ჩორდი-აცა) ფოთლებით. ამის წვენს ასმევენ ყოველნაირ ავადმყოფობის დროს.

როცა ავადმყოფს დიდი სიცხე აქვს, მას გაახვევენ ხოლმე ძენნის ფოთლებში. საფალარათოს ქალები არ აძლევენ ავადმყოფობის დროს, მაგრამ თუ ვინმემ საფალარათოს დალევა მოისურვა იმისთვის, რომ ავად არ გავხდეთ, იმას აძლევენ ხოლმე ერთ თასს რძიანას (თიტინაგლიო) წვენს, რომელიც პირიდანაც და უკნიდანაც ისე ასაქმებს, რომ სიკვდილამდი მიაყენებს. ვინც იშოვნის რევანდს, სულ რომ პანანა იყოს და ჭიით დახრულიც, შეინახავს, ვითარცა ძვირფას ნამალს, ციების წინააღმდეგს. მერე როგორ აძლევენ ამ ნამალს? არც გამოხარშავენ და არც დანაყვენ, არამედ როგორც არის, ისე მთლად ჩააგდებენ ერთი ღამით წყალში: მეორე დილას ამოიღებენ რევანდს, წყალს ასმევენ ციებიანს და რევანდს კი შეინახავენ სხვომისათვის.

ერთხელ მეც ვნახე იქაური ექიმი, რომელმაც დაარწმუნა მთავარი, რომ დედოფალს გულის ავადმყოფობისაგან იაგუნდი მოარჩენსო. სთქვა ეს თუ არა, მაშინვე მოსძებნეს მშვენიერი იაგუნდი წამლის მოსამზადებლად. ექიმა მოამზადა იგი ამ ქვაზე. გულუბრყვილო ექიმს ეგონა, რომ იაგუნდი გაილესებოდა ქვაზე. ხოლო ქვა გაილესა და არა იაგუნდი, რადგან იაგუნდი უფრო მაგარია ქვაზე. ამ უბრალო ქვის ნალესით აავსო ერთი დიდი თასი და მთლად შეასვა ავადმყოფ დედოფალს.

იქაური ექიმი რომ შეეცილოს გალენს, საკმაოა იცოდეს გაკეთება სამნაირი წამლისა: ერთი — საფალარათო, მეორე — სიროფი და მესამე — კარგი გემოს კონსერვი. პირველი და უმთავრესი საფალარათოა. რაც უფრო ძლიერი იქნება დაფალარათო, იმდენად მეტი სახელი ექნება ექიმს. საფალარათოს აძლევენ ყოველნაირ ავადმყოფობაში, მიუხედავად იმისა, არგებს იგი, თუ აწყენს, ხშირად მომხდარა, რომ საფალარათოს მეტად სამწუხრო შედეგიმოჰყოლია, რადგან ძლიერი საფალარათო ძალას უღევს ავადმყოფს და სენიდან კი ვერ ჰკურნავს. ამიტომაც ავადმყოფი ხშირად კვდება. თუ ჩვენებური ექიმი მოხვდა იქ და მისცა ავადმყოფს სუბუქი წამალი, რათა ზომიერად გააფალარათოს, როგორც მაგალითად დიაფენიცი და დიაცატლიცი, იგი ექიმობაში ვეღარ შეეთანხმება იქაურ კარგ ექიმს, რომელიც ამტკიცებს, რომ საფალარათომ ვერ იმოქმედა კარგადაო, წამალი ტანში დარჩა და სენი ვერ გამოიტანაო გარეთ.

ერთხელ სამეგრელოში ჩამოვიდა ერთი ირანელი ექიმი, რომელიც იყო შეჩვეული მეტად მაგარი აგებულების ირანელების ექიმობას და ისეთს საფალარათოს უნიშნავდა, რომ უფრო ცხენებს შეეფერებოდა, ვიდრე ადამიანებს. მისი ექიმობის

სახელი ისე გავრცელდა, რომ მთელი ქვეყანა ალტაცებაში მოდიოდა და ჰფიქრობდა რომ ახალი ესკულაპი მოგვივიდაო. მისი სახელი მართლა ისე გავარდა, რომ ყველა მეგობარმა ურჩია მთავარს, რომ ასეთი შემთხვევით ესარგებლა და სიმრთელის შესანახად ყოველ შემთხვევისათვის ამ ექიმის წამლით განმენდილიყო. მთავარი უფრო თავის მრჩეველთა ხათრისათვის, ვიდრე საჭიროების გამო, დათანხმდა. მოიწვიეს ექიმი, რომელიც შეუდგანამლობას. პირველი მისი საქმე ის იყო, რომ აღკურძლა მთავარს ცხენზე შეჯდომა იმ დროის განმავლობაში, რაც წამლობა გასტანსო. ეს მეტად ძნელი ასატანია საზოგადოდ მეგრელებისათვის, რომელნიც მთელს თავის სიცოცხლეს ცხენზე ატარებენ. შემდეგ აღკურძალა ყოველივე საჭმელი, გარდა ცხვრის ხორცისა. მერე დაუნიშნა საფალარათოს მიღებამდის ყოველივე ორ-ორჯერ აბანოში წასვლა და იქ დარჩენა თითო საათობით მაინც. აბანო, ამტკიცებდა ექიმი, სხეულს დაარბილებს და მერე საფალარათოს დალევისთანავე ყოველივე გაფუჭებული წვენი სხეულიდან სულ ადვილად გამოვა გარეთო.

ამრიგად გასაფალარათებლად ამზადებდა მთავარს ათიოდე დღის განმავლობაში და ამ დროს, ხანგამოშვებით, ბლომად და წინა საღამოს ექიმმა დააღვინა დიდი ვერცხლის თასით ცხელი რძე, წონით არანაკლებ სამი გირვანქა და სხვა საჭმელის ნება კი იმ საღამოს აღარ მისცა. შუაღამოსას მისცა ხუთმეტოდე აბი, თვითუფი წონით თითო დრაჰმა დაგათენების წინ მისცა ვერცხლის თასით ერთნაირი სასმელი, რომელიც ინონიდა ორ გირვანქაზე მეტს. რამდენადაც მახსოვს, ამ წამალში შეაზავა ექიმმა თითქმის ერთი უნციალ ღორის ქადა (თურბიტი), იმდენივე ნუშის ზეთი, ნახევარი უნცია რევანდი, სხვადასხვა ჯიშის ხმელი ქლიავი, ერთი დრაჰმა შცამონეა და სხვა რამეები, რომელიც ესლა არ მაგონდება. ყოველივე ეს დანაყა და ტკბილი ბრონეულისა, ვარდისა და ხმელიის მოდულებულ წვენში ჩაყარა, მერე აურია კარგად და თბილად შეაჭამა მთავარს. მთავარი მეტად მონადინებული იყო თავისი სიმრთელე დაეცვა და ამიტომაც საკვირველის მოთმინებით ემორჩილებოდა ექიმის ყოველ ბრძანებას. ამ წამალმა ისე იმოქმედა, რომ საღამომდი, სადაძილებლად დანოლამდი, ორმოცდაშვიდეჯერ ასაქმა და ღამის განმავლობაში კიდევ ამდენჯერვე.

ამ ექიმის სახელი მთელ სახელმწიფოში განითქვა და ყველანი კვირობდნენ ამ კაცის ცოდნას, რომ ერთი წამლით ასე განმინდა ავადმყოფის ტანისო. თუმცა მთავარი ისე დასუსტდა, რომ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დადგა თავის უწინდელს ღონეზე, მაგრამ ექიმის კმაყოფილი მაინც დარჩა, რადგან ფიქრობდა, რომ ყოველივე ის, რაც ტანიდან გამოუვიდა, სენი იყო და ამ სენისგან დიდი ხნით განთავისუფლებული

უნდა ვიყო. ამიტომაც ექიმი უხვად დააჯილდოვა და გაისტუმრა. მე კარგად ვიცი, რომ ჩვენში ასეთი წამალი უნაყოფო იქნებოდა, ანდა სიცოცხლეს მოუსპობდა ავადმყოფს, ხოლო სამეგრელოში, იქაურების აგებულებისა თუ ჰავის მიზეზით, ჩვენებურის ზომით რომ მისცეთ წამალი, არავითარი მოქმედება არ ექნება. საჭიროა გაოკეცება და გასამკეცება ზომისა, რომ წამალმა იმოქმედოს, ამას გარდა, თვით იტალიელები რომ დარჩებიან რამდენსამე ხანს სამეგრელოში, იმათაც ძლიერი საფალარათო ეჭირვებათ იქაურის წესით. ამ საფალარათოს მომზადებაა უმთავრესი საგანი, რომელიც უნდა იცოდეს ამ ქვეყნის ექიმმა.

მეორედ ექიმმა უნდა იცოდეს სიროფის გაკეთება თაფლისა თუ შაქრისაგან. სიროფი ავადმყოფს სენის შესაფერი რომ არ იყოს, არა უშავს რა, ოღონდ გემრიელი კი იყოს. როცა ვინმე ავად გახდება და ექიმს მოიწვევენ, პირველად ექიმმა სასმელი სიროფი უნდა მოამზადოს. რამდენ სხვადასხვანაირ სიროფს მოამზადებს ექიმი, იმდენად უფრო სწავლულის სახელს მოიპოვებს იგი. ამიტომაც ამ ჯურის ექიმები ვარდებს და იას თავის დროზე ბლომად მოჰკრეფენ, გაახმოებენ და შეინახავენ, რათა საჭიროების დროს თაფლით ან შაქრით შეზავებული მოხარშონ და გააკეთონ სიროფი, არამედ კარგად მყოფსაც. სახელგანთქმულ ექიმებს ამ სასმელით სავსე ჭურჭელი ბლომად უნდა ჰქონდეს დამზადებული, რადგან, თუ ვინმე დიდებულმა გზად გამოიარა, მაშინვე მოითხოვს გასაგრილებელ სასმელს და ექიმი ცოტაოდენ სიროფს გაურევს წყალში და ამ სასმელს მიართმევს სტუმარს, რომლის გულსაც ამით მოიგებს. დიდებული სტუმარი სამაგიეროდ უხვად დააჯილდოვებს მასპინძელ ექიმს.

მესამედ, იქაურმა ექიმმა უნდა იცოდეს გაკეთება საექიმო კონსერვისა, რომელსაც იქაურები ეძახიან მაჯუნუნს. ეს მაჯუნუნი ირანელებს საუკეთესო წამლად მიაჩნიათ, რადგან მათის აზრით, იგი სხეულს როდი სცლის სისხლისგან, არამედ სისხლს სწმენდს და აახლებს. ამას გარდა, ძვირფასი ქვების სამხრევებისა და ძვირფასი სურნელოვან მცენარეებისგან აკეთებენ ნაირ-ნაირ წამლებს, რომელსაც ინახავენ ხოლმე კოლოფებში და საჭიროებისამებრ ხმარობენ. სამეგრელოს ექიმებმ ალბათ თავისი მეზობელ ირანელებისაგან ისწავლეს ამ წამლის გაკეთება. მეგრელებიც მაჯუნუნს ეძახიან ამ წამლებს, თუმცა მათეურიწამლების ბევრად ჩამორჩებიან ირანელებისას, რადგან ირანელები მისდევენ არაბთა სწავლას და ამას გარდა მათი ბუნება მდიდარია ყოვლისავე სიკეთით, როგორც უბრალო საექიმო წამლებით, ისე ძვირფასის ქვებით და ინდოეთის სურნელოვან მცენარეებითა. ამიტომაც იგინი აკეთებენ ძვირფასს და კაცთა სხეულისათვის ფრიად სასარგებლო მაჯუნუნს, ხოლო მეგრელები მოკლებულნი არიან იმავე სიმდიდრეს და თუმცა აკეთებენ მაჯუნუნს, რომელიც შეხედულებით და

გემოთი ჰგავს ირანულს მაჯუნუნს, მაგრამ მოქმედებით კი ვერ შეედრება მას. მიზეზი ის არის, რომ მეგრელებს არ აქვთ ძვირფასი ქვები და წამალს აკეთებენ ან სელის დანაყილი თესლისაგან, რომელსაც თაფლით შეზევენ, ან ფორთოხლის კანისაგან, ან სტაფილოსაგან, ან სხვა რაიმე ძირისაგან და ხილისაგან. ის კი არ არის, რომ ოღონდ წამალი კარგი გემოსი იყოს, თორემ რისგანაც უნდა იყოს, მაინც ციდან ჩამოვარდნილ წამლად მიიჩნევენ.

ჩემს დროს იქ იყო ერთი სატყუარა ბოლგარელი, რომელმაც რჯულს უღალატა კონსტანტინოპოლში და იქიდან ჩამოვიდა ოდიშში, სადაც მშვენივრად ირჩენდა თავს მხოლოდ იმით, რომ ასეც წამლებს თითხნიდა: იგი აიღებდა ცოტაოდენ პურს, ძალიან გაახმობდა ცეცხლზე, შეურევდა თაფლს და პილპილს, ჩაალაგებდა რამდენსამე პატარა ჭურჭელში და დაატარებდა სოფელ-სოფელ. ყველას არწმუნებდა, რომ ეს საუკეთესო თერიაყი არისო, რომელიც ჩამოვიტანე ქაიროდანო დად ანის წვერზე რაც დაეტეოდა, სალამოს დატვირთული ბრუნდებოდა შინ.

ზემოხსენებული სამი საგნის ცოდნა მოეთხოვებოდა იქაურ ექიმს. გარდა ამისა მეგრელები თხოულობდნენ ექიმისგან ისეთ რასმე, რაც ჩვენში მავნებლად მიაჩნდათ ავადმყოფობისათვის. მაგალითად, თხოულობენ, რომ ექიმმა ავადმყოფს ყოველ სურვილზე ნება დართოს: თუ სმა უნდა, სვას, თუ ჭამა უნდა, ჭამოს და თუ ძილი უნდა, იძინოს/მეტისმეტი უღმერთობა იქნებაო. ამბობენ იგინი, რომ ავადმყოფს არ შეუსუბუქოს ტანჯვაო.

სამეგრელოში უმთავრესად სამი ჩვეულებრივი ავადმყოფობაა: ტყირპი, წყალმანკი და ხველა. რაც შეეხება ხველას, მათის აზრით, ხველას ვნებს ყოველივე ტკბილი. თუ, მაგალითად გულის და ყელის დასალბობად ავადმყოფს ცოტა შაქარი მისცეს და ამის შემდეგ მას ხველება აუვარდა, მაშინვე ჩივილს დაიწყებენ, რომ ყოველივე ტკბილის ბრალიაო. წყალმანკის დროს უსმელობას ავადმყოფები ვერ ითმენენ და არც უშლიან: მანამდის სვამენ, როგორც უნდა წამლობდნენ.

სასაცილო საშუალებას ხმარობენ აგრეთვე იმ ავადმყოფთა მიმართ, რომელთაც სამდღეული ან ოთხდღეული ციება სჭირთ. ეს საშუალება მეგრელებმა ალბათ მათი მეზობელ აფხაზებისაგან ისწავლეს: როგორც კი ციება გამოაჩნდება ავადმყოფს და იგი დაიწყებს ციებისაგან კანკალს, წაიყვანენ, სადაც უფრო ცივი მდინარე ეგულებათ, გააშვილებენ და ყელამდი წყალში ჩასვამენ. ორ კაცს ძალით უჭირავს აგრე კაი ხანს და მერე მკვდარ-ცოცხალს ამოიყვანენ და ლოგინში დააწვენენ. ამტიციებენ, რომ ამის შემდეგ ავადმყოფი უკეთ გრძნობს თავსაო.

არქანჯელო ლამბარტი

შედეგი, რომელსაც აუსტიტუტსაც აღწავს...

ნელი ჩხარტიშვილი



ს ა ო ც ა რ
მ ო ძ რ ა ო ბ ის
გ ა რ დ ა

„უველაფერი, რისკენაც შენ მიისწრაფი, უთუოდ მოვა, თუ შენ მოემზადები და დაელოდები მას“, ეს არის ფრაზა წიგნიდან „მონაზონი, რომელმაც გაუიდა თავის „ფერარი“, აფრაზა, რომელიც ამ წიგნის ფაბულაა, შემდგომში ხორცშესხმული. წიგნი ცნობილ ამერიკელ ორატორს, ლიდერობისა და ცხოვრების სრულყოფის სფეროში ბრწყინვალე გარსკვლავს, რობინ შარმს ეკუთვნის, რომელიც ნიჭიერმა და რეალისტურად მოაზროვნე მშვენიერმა ქალბატონმა, ფილოლოგმა ნელი ჩხარტიშვილმა თარგმნა.

წიგნი გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი თარგმანია, მისი შინაარსი უოველი ადამიანის ცხოვრებისეული გაკვეთილია, ეს არის თითოეული ოჯახისთვის სამადიგო წიგნი, მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მიადწიო წარმატებას, იყო კეთილშობილი და რეალიზებული. წიგნში რეალიზმი, ფილოსოფია და ფსიქოლოგია ქაჭვისებურად ებმის ერთმანეთს და ვიღებთ შედეგს. ამ წიგნით ვსწავლობთ ცხოვრების ლაბირინთებში წესებს და საკუთარი თავის აღმოჩენის უნარს.

ამისა, აღსანაშნავია, რომ ქალბატონმა ნელიმ ქართველ მკითხველს, განსაკუთრებით ქალბატონებს, შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთათ, რუსულიდან თარგმნა წიგნი, „გახდომა სწრაფად, სუნთქვით და უდიეტოდ“. ეს არის პროგრამა, რომელიც გრიტ ჩაილდერსმა, 53 წლის ქალმა, სამი შვილის დედამ შექმნა და „ბოდიფლექსი“ დაარქვა. ამ პროგრამის საფუძველზე ქალმა 56 ზომა 44-ით შეცვალა.

ბოლო 20 წელია ის აღნიშნული პროგრამით ასწავლის საავადმყოფოებში, სემინარებზე და დიდი წარმატებითაც სარგებლობს.

ქალბატონმა ნელიმ, რომელიც ხუთი შვილის დედაა, პროგრამა საკუთარ თავზე გამოსცა და ისედაც მშვენიერი ქალბატონი დღესაც საუკეთესოდ გამოიყურება, სწორედ აღნიშნული პროგრამით შეძლო მისთვის ჩვეული სინატიფის დაბრუნება.

პროგრამა მოითხოვს ნებისყოფას, რწმენას და მოტივაციას.

თუ გაქვთ საზომი ლენტი და 15 წუთი დღეში, ე.ი. თქვენ მზად ხართ პროგრამა „ბოდიფლექსისათვის“. დანარჩენ სასწაულებს ამ წიგნის საშუალებით შეიტყობთ და თუ ქალბატონ გრიტს და ქალბატონ ნელის დაფუძვრებთ, გწამდეთ, რომ ძველებურ იერსახეს აუცილებლად დაიბრუნებთ, თანაც ზედმეტი დროისა და ფინანსების ხარჯვის გარეშე.

ეს ნამდვილად რეალური პროგრამაა. ქალბატონი ნელი კი ის ადამიანია, ვინც არა მარტო თავის, სხვათა სიამოვნებისთვისაც ზრუნავს. ამიტომ გადმოგვიჩართულა უცხოური ტექსტი და გადმოგვცა სახელმძღვანელოდ.

ნელი ჩხარტიშვილს ხუთი წიგნი აქვს ნათარგმნი. არც სამომავლოდ აპირებს კალმის დადებას, უყვარს როდესაც თავის დაბადების დღეზე მისივე ახალ ნაშრომს მიუტანენ.

წარმატებას გისურვებთ, მშვენიერო ქალბატონო!

ნინო რეხვიაშვილი



და კავშირის თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიას უღნიების საბმარქო ულესთან



შონიების საგვარეულო კავშირის ისტორიაში თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიას განსაკუთრებული ადგილი აქვს მოზოგებულს, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ქერ ერთი, ამ ეკლესიაში მსახურობს ჩვენი გვარის ერთ-ერთი დირსეული წარმომადგენელი მამა ზაქარია, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი საგვარეულო კავშირის აღორძინებაში და ახლაც აქტიურად მონაწილეობს კავშირის ცხოვრებაში; მეორედ, შონიების გვარის საშების საკათედრო ტაძარში კათალიკოს-პატრიარქის მიერ კურთხევამდე, 2014 წლის 9 ნოემბრამდე, კლდისუბნის ეკლესიაში იყო დაბრძანებული ანდრია ბირველწოდებულის ხატი, რომელიც საჩუქრად გადაეცა საპატრიარქოს და ილორის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც საგვარეულო ხატსაც წარმოადგენს და ახლაც აღნიშნულ ეკლესიაშია დაბრძანებული და აქედან დაიწებს იგი მოგზაურობას შონიების განსახლების ადგილებში.

გარდა ამისა, მამა ზაქარიასა და საგვარეულო კავშირის თავმჯდომარის ოთარ შონიას ინიციატივით, დაწესებული გვარის კურთხევიდან, უოგელი თვის ბოლო კვირას კლდისუბნის ეკლესიაში თავს იურიან შონიების წარმომადგენლები, ესწრებიან წირვას და იხსენებენ თავიანთ მიცვალებულებს. ეს ტრადიციად იქცა და კლდისუბნის ეკლესიაში ლოცვა შონიების შომაგალ თაობებსაც მოუწევთ.

უოგელივე ზემოთთქმულის გამო საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ შონიებმა იცოდნენ თბილისის კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის ისტორია. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ამ ეკლესიას მთელი წიგნი უძღვნა არქეოლოგმა - მერაბ ძნელაძემ.